# საერთო გაზეთი

№6 (464) • 21 თებერვალი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი


## ვინ დანიშნა კაპიტანი გიგაური საქართველოს დირექტორად?





„ქალბატონი, რომელიც გამოიზარდა ვანო მერაბიშვილის უწყებაში და არის მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის სახე, სიცრუეზე, სიყალბეზე დაყრდნობით ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება“.





## თოთხმეტი წელი, როგორც თოთხმეტი ტყვია



## მამისა ჯაფარაშვილი: ისევ ევროპა თუ გვიშველის და ვიზალიბერალიზაციას თუ შეაჩერებს, თორემ საქართველოში ქართველი აღარ დარჩება

საბანკო-სამევახშეო სისტემამ ადამიანებს ქვეყნიდან გაქცევის გარდა, გამოსავალი არ დაუტოვა.

## ჭინჭიპარია ჭიჭიკიებს და ბიჭიკიებს რომ ეძებთ, ეძებეთ ქართველი დონ კორლეონეები!





## „არა იმიტომ, რომ სიტყვა „ქურდმა“ უარყოფითი დაჰკარგა ქლერა“

ქემას ბლოგი

## რატომ ვებევრებით ევროპას?





მაინც ვერ გავიგე, რაო, რა ქნა ქართველმაო? მაღაზია გატეხაო? იქნება, ბავშვები დახოცა იქნება, მანქანით შევარდა ხალხით გადაჭედილ სავაჭრო ცენტრში ტერორისტი არაბივით? იქნება, ბომბი დადო მეტროში? იქნება ავტომატით შევარდა სკოლაში? — არა? აბა სხვებს, თავზე ხელს უსვამთ და ჩვენთვის პანღურის ამოკვრა ვინ მოიფიქრა, ვისი იდეაა ახლა ეგ ვითომ?

## „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# ვინ დანიშნა კაპიტანი გიგაური საქართველოს დირექტორად?

## კაპიტანი გენერლის ამბიციით

ხომ მოგისმენიათ ეკა გიგაურისთვის? ისე ლაპარაკობს, ისეთი ფოლადისებური ხმით იძლევა ინსტრუქციებს და დირექტივებს, თითქოს გენერალი იყოს.

არადა, გენერალი კი არა კაპიტანია, თანაც ეს წოდება რიგგარეშედ მიენიჭა უშუალოდ ვანო მერაბიშვილის მიერ, თუმცა რატომ და რა დამსახურების გამო, დღემდე უცნობია.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ეკა გიგაურს ეს წოდება 2007 წლის 21 ნოემბრით დათარიღებული ბრძანებით აქვს მინიჭებული, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ გიგაურის მოულოდნელი დაჯილდოება რიგგარეშე ჩინით, შეიძლება რაღაცით უკავშირდებოდეს 2007 წლის 7 ნოემბრის ამბავს, როცა მომიტინგეები სასტიკად დაარბიეს.



ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ, მანამდე კი კიდევ ერთი კითხვა დავსვათ: როგორ მიხდა, რომ იმ დროისთვის სრულიად ახალგაზრდა და ნორჩი ეკა სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე გახდა და ამ თანამდებობაზე ბრიგადის გენერალი ჩაანაცვლა?

გაურკვეველი და ლოგიკურად აუხსნელია, რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება სასაზღვრო დეპარტამენტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ბადრი ბიწაძემ (რომლის გარეშეც, ცხადია, ეს დანიშვნა ვერ მოხდებოდა) და რატომ დანიშნა ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე სრულიად ახალგაზრდა ქალბატონი, რომელსაც ამ საქმის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა?

თანამდებობა, რომელზეც აქამდე გენერლები მუშაობდნენ, რატომ გახდა უცებ ადვილად მოსარგები და შესაფერისი ახალგაზრდა და გამოუცდელი ქალბატონისთვის?

ჭორები დაირხა: ქალბატონი ეკა ბატონი ბადრის ნათლულიაო, თუმცა მალევე გაირკვა, რომ ქალბატონსა და ბატონს შორის არანაირი ნათელ-მირონობა არ არსებობდა, რამაც კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა ეკა გიგაურის დაწინაურების საიდუმლო.

სახუმარო საქმე ხომ არ არის, სასაზღვრო პოლიციაში საერთაშორისო ურთიერთობების და სამართლებრივი უზრუნველყოფის, კადრებისა და საფინანსო და ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სამმართველოები შენს დაქვემდებარებაში იყოს და გენერლები და პოლკოვნიკები „ჩესტს" გიღებდნენ, ეს იმ დროს, როცა ჯერ მხოლოდ ეკა გიგაური ხარ და მეტი არაფერი.

თუმცა, მიუხედავად გამოუცდელობისა და ყმაწვილქალობისა, როგორც ჩანს, ეკამ მაინც გაქაჩა და ისე მაგრად გაქაჩა, რომ, როგორც ზემოთ ვთქვით, სულ მალე კაპიტნობასაც კი გამოჰკრა ხელი, რასაც კინორეჟისორი გოგა ხანიდრავა შემდეგნაირად ხსნის:

„მინდა მოგახსენოთ, რომ, როგორც ყველაფერი დანარჩენი, რაც დაკავშირებულია იმ ბინძურ რეჟიმთან, რომელიც 9 წლის განმავლობაში საქართველოში იყო გამეფებული, როცა ყველაფერი აწყობილი იყო სიცრუეზე, ცილისწამებაზე, არაერთ მცდელობაზე, რომ აერიათ ხალხის გონება, ისევეა ეს საჩივარი, რომელიც შეტანილი აქვს კაპიტან გიგაურს ჩემს წინააღმდეგ.

ის აღშფოთებულია ჩემი განცხადებით იმასთან დაკავშირებით, რომ მან ვანო მერაბიშვილისგან კაპიტნის რიგგარეშე წოდება, ჩემი ვარაუდით, 7 ნოემბრის აქციაში თანამონაწილეობის გამო მიიღო".

გოგა ხაინდრავამ წარმოადგინა ბრძანება, რომელიც ასახავს ეკა გიგაურისთვის კაპიტნის წოდების ვადაზე ადრე მინიჭებას და აქვე აღნიშნა, რომ საქმის ადვოკატის მოთხოვნის საფუძველზე დადგინდა, რომ აღნიშნულ ბრძანებასთან დაკავშირებული ყველანაირი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რამ განაპირობა ამგვარი გადაწყვეტილების მიღება, აღარ არსებობს.

„ქალბატონი, რომელიც გამოიზარდა ვანო მერაბიშვილის უწყებაში და არის მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის სახე, სიცრუეზე, სიყალბეზე დაყრდნობით ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება. მეტსაც გეტყვით, დღეს ის მოვლენილია, როგორც ადამიანის უფლებების დამცველი. მორალს უკითხავს ქართველ საზოგადოებას, თუ როგორ უნდა იყოს ცხოვრება აწყობილი. ამას აკეთებს ის ადამიანი, რომელიც უამრავ სხვა ადამიანთან ერთად 2008 წლის კატასტროფული ომის შემდეგ გადახტნენ არასამთავრობო სექტორში. ისინი არიან ცხვრის ქურქში გახვეული მგლები, რადგან თანამონაწილეები იყვნენ ყველა იმ დანაშაულების, რასაც ჩადიოდა სააკაშვილი და მისი რეჟიმი.

მოვუწოდებ კაპიტან გიგაურს — არანაირი სასამართლო ამას არ სჭირდება, გამობრძანდით და აუხსენით საზოგადოებას, რიგგარეშედ რატომ მოგანიჭეს კაპიტნის წოდება, რა დამსახურებისთვის, რა გააკეთეთ ასეთი, რომ ბატონმა მერაბიშვილმა გამოგყოთ თქვენ?!



ეკა გიგაური იმალება, არც სასამართლოზე არ მოდის. საჩივარი თავად შეიტანა და საჯაროდ მოითხოვა ჩემგან ბოდიში... ბოდიშს კი არ მიიღებს, დავანგრევ მგლების ბუდეს, რომლებიც ცხვრების ქურქებში არიან გადაცმულები და არასამთავრობო სექტორიდან ადამიანის უფლებებზე გველაპარაკებიან. ეს აღარ არის ჩემთვის სამოქალაქო პროცესი, ეს არის პროცესი, რომელიც საზოგადოებას დაანახებს იმ კრიმინალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა შსს-ში, სახელმწიფო სტრუქტურებში და დღეს გრძელდება არასამთავრობო სექტორში. ეს პროცესი გაგრძელდება მანამდე, სანამ არ დავადგენ უკანასკნელ ცნობას იმ თაღლითობის და დანაშაულების შესახებ. მე ვპირდები ამას არა მარტო კაპიტან გიგაურს, არამედ უტიაშვილს, რურუას, შაშკინს, ყველას, ვინც ამოეფარა არასამთავრობო სექტორს და დღეს ცდილობენ, ქართველი საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ.



ძალიან საინტერესო და ხმაურიან პროცესს გპირდებით, რომლის შედეგადაც უამრავი რამ გახდება საზოგადოებისთვის ცნობილი", — განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

გოგა ხაინდრავას პოზიციას იზიარებს არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიციის" დირექტორი გურამ ადამაშვილი, რომლიც მტკიცებითაც ეკა გიგაურს „უშუალოდ აქვს მიღებული მონაწილეობა 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევაში".

ამასთან ერთად, ადამაშვილის თქმით, გიგაურმა 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დაშლაში მონაწილე სპეცრაზმელები დააჯილდოვა და თითოეულ მათგანს 1000–1000 ლარის ოდენობის პრემია გადასცა.

2007 წლის 14 ნოემბრით დათარიღებულ ბრძანებაში სასაზღვრო პოლიციის უფროსი ავალებს ეკა გიგაურს, კონტროლი გაუწიოს სასაზღვრო პოლიციის ხევსურეთში მდებარე ბარისახოს სამმართველოს 10 თანამშრომლის და სასაზღვრო პოლიციის და სამმართველოს უფროსის დაჯილდოებას.

ხაინდრავას და ადამაშვილის აზრით, ეს პოლიციელები საზღვრის დაცვის კარგად ორგანიზებისთვის კი არა, 7 ნოემბრის აქციის დარბევაში აქტიური მონაწილეობისთვის დაჯილდოვდნენ, ჯგუფს კი ორგანიზებას და იდეოლოგიურ მხარდაჭერას ქალბატონი ეკა უწევდა.

მოგვიანებით ეკა გიგაურმა ხაინდრავას და ადამაშვილის ბრალდებებს სიცრუე უწოდა და კატეგორიულად გამორიცხა, რომ მას ან სასაზღვრო პოლიციას რაიმე

„საერთო გაზეთი"
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

სახის კავშირი ჰქონოდა 7 ნოემბრის აქციის დარბევასთან, ეს კი იმით დაასაბუთა, რომ როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ისე სასაზღვრო პოლიციის დებულებით, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლების მოვალეობაში არ შედის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. შესაბამისად, მათ არ შეიძლება მონაწილეობა მიეღოთ 7 ნოემბრის აქციის დარბევაში.

ეხ, ქალბატონო ეკა, ქალბატონო ეკა, რა არგუმენტია ახლა ეს, რაც თქვენ თავის გასამართლებლად მოიტანეთ?

ვინ სულელი დაიჯერებს იმას, რომ „ნაცმოძრაობა“ და ნაცელიტა სულ კანონების და დებულებების მიხედვით მოქმედებდნენ და ერთ ნაბიჯს არ დგამდნენ არც მარცხნივ და არც მარჯვნივ, თუ ეს კანონთან შესაბამისობაში არ მოდიოდა.

ასეა თუ ისეა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა—საქართველოს“ ხელმძღვანელის ეკა გიგაურის მოღვაწეობა, განსაკუთრებით მისი პირველი, სატრამპლინო პერიოდი იმდენად გაუმჭვირვალეა და ისეთი ბურუსით არის მოცული, ცოტა არ იყოს, უხერ-



ხულია ასეთი ჩაკეტილ-გასაიდუმლოებული და „გაუმჭვირვალე“ ბიოგრაფიის ადამიანი გამჭვირვალობის, თანაც საერთაშორისო გამჭვირვალობის, მებაირახტრედ გამოდიოდეს.

●

გავრცელებულ ინფორმაციას, ეკა გიგაური პოლიტიკაში მიდისო, საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ასეთი კომენტარი გაუკეთა: „მივესალმები, რომ გიგაური რაც შეიძლება მალე გადავიდეს პოლიტიკაში, რადგან ის რეალურად საკუთარი გამოსვლებით, სამოქალაქო საზოგადოებას ამახინჯებს. სასურველი იქნება, რომ რაც შეიძლება სწრაფად გადავიდეს პოლიტიკაში. გიგაური თავს სამოქალაქო საზოგადოების წევრად ასაღებს“.

ზუსტი შეფასებაა! გიგაური და მასთან ერთად სხვა გიგაურები, რომლებიც თავს სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებად ასაღებენ, სინამდვილეში ან თავად არიან შენიღბული პოლიტიკოსები, ან რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს ემსახურებიან.

ქართულ რეალობაში მართლაც მანკიერი და მახინჯი პრაქტიკა დამკვიდრდა: ვიღაცვიღაცები ერთ-ორ წელს არასამთავრობო ორგანიზაციებში გაივარჯიშებენ და გაილესავენ ენას, მერე კი პოლიტიკაში მიდიან ან პირიქით — პოლიტიკიდან არასამთავრობოებში გადმორბიან და იქ პოულობენ საიმედო თავშესაფარს.

ნახეთ ერთი, თუნდაც ბოლო ხანებში „ნაციონალური მოძრაობიდან“ ოტებული რამდენი პოლიტიკოსი, რამდენი მინისტრი და მაღალჩინოსანი გადაბარგდა არასამთავრობოებში და ახლა იქიდან ალაგებს ქვეყანას, ოღონდ უკვე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლის სტატუსით.

კაპიტანი ეკა გიგაურიც, „ნაცმოძრაობის“ პოლიტზოოპარკის ფარშევანგი, ამ ზოოპარკში გაზრდილ-დაფრთიანებული, ვანო მერაბიშვილის მიერ გზადალოცვილი, ცხადია, „ნაცმოძრაობის“ ინტერესებს ემსახურება დღემდე, მაგრამ ამას საგულდაგულოდ მალავს და ნიღბავს, თუმცა ფაქტები სულ სხვა რამეს მეტყველებენ.

საქმე ის არის, რომ ეკა გიგაურის და მისი ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ კრიტიკის საგანი ან შესწავლის ობიექტი მთელი ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ გამხდარა არც „ნაცმოძრაობა“, არც ნაცელიტა, არც მისი რომელიმე წარმომადგენელი, თითქოს „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი სისხლიანი პერიოდის დროს არც ერთი სერიოზული დანაშაული არ მომხდარა — არც უდანაშაულო ადამიანების ხოცვა

და დაპატიმრებები ყოფილა, არც ქონების წართმევა და მიტაცება, არც კორუფცია, არც საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის დაკარგვა „ნაცმოძრაობის“ უგუნური პოლიტიკის წყალობით, არც ადამიანების პოლიტიკური დევნა და შევიწროება, არც მიტინგების და აქციების სასტიკი დარბევა და ა. შ.

ყოველივე ამას თითქოს სქელი, გაუმჭვირვალე, შუქგაუმტარი ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული და რაც ამ ფარდის მიღმა ხდებოდა, „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ თვალმახვილი ლიდერისთვის შეუმჩნეველი და გაუმჭვირვალე იყო.

გიგაურს და მასთან ერთად მის არასამთავრობო ბიძაშვილ-მამიდაშვილებს თვალი 2012 წლიდან, ანუ „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ აეხილათ და მანამდე „ნაცმოძრაობის“ თვალში დირესაც რომ ვერ ხედავდნენ, ახლა „ქართული ოცნების“ ბეწვიც კი არ რჩებათ შეუმჩნეველი.

ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობით კაპიტანი გიგაური გამოირჩევა, რომლის ყურადღების მიღმა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ასე თუ ისე მნიშვნელოვანი არც ერთი დეტალი არ რჩება, გარდა იმ დეტალებისა, რაც პირდაპირ თუ ირიბად შეიძლება „ნაცმოძრაობას“ რაღაცით უკავშირდებოდეს.

გიგაური ერევა და ერკვევა ყველაფერში — იურისპრუდენციაში, ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სახელმწიფო სტრუქტურების მოწყობისა და რეფორმირების საკითხებში და თავის მოსაზრებებს ისეთი კატეგორიული ტო-



ნით გამოთქვამს, თითქოს ის და მისი „გამჭვირვალე“ ორგანიზაცია ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანცია იყოს.

მტკიცედ მოკუმული ბაგეებით, არწივისებური მზერით, ფოლადისებური მკაცრი ხმით ის გასული საუკუნის ციხის ზედამხედველ ბოლშევიკ ქალბატონებს უფრო ჰგავს, ვიდრე სამოქალაქო სექტორის ჰუმანისტ, რბილ და ლმობიერ წარმომადგენელს, რომელიც მუდამ მზად არის კონსენსუსისა და დიალოგისთვის.

მაქვს გონივრული ეჭვი, რომ კაპიტან გიგაურს რომელიღაც საიდუმლო ორგანიზაციაში გენერლის ჩინი უბოძეს და ამიტომაც გველაპარაკება იგი გენერალივით, თითქოს მხოლოდ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი კი არა მთელი საქართველოს დირექტორი ეგ იყოს.

წერილს იმ წერილის ფრაგმენტით დავამთავრებთ, რომელიც „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში დაიბეჭდა:

საქართველოში 200-მდე არასამთავრობო ორგანიზაციაა.

თითოეულმა მათგანმა თვეში, მინიმუმ, 5000 ლარი რომ მოიხმაროს, ეს თვეში მილიონი ლარია, წელიწადში 12 მილიონი ლარი.

ვინ იხდის ამ 12 მილიონს და რისთვის?

რატომ არავინ არ სვამს ამ მარტივ და უბრალო კითხვას და რატომ უსვამენ თავზე ხელს და რატომ უჩლექენ ენას ამ პარაზიტულ და მუქთახორა ორგანიზაციებს, რომლებიც, ლამის არის, მეორე, არაოფიციალურ ხელისუფლებად გვექცეს, რომელიც ოფიციალურ ხელისუფლებას ხშირად შანტაჟის და ულტიმატუმის ენით ელაპარაკება.



**„ჩვენთვის უცნობია, არსებობს თუ არა ამ ორგანიზაციების საქმიანობის ამსახველი სერიოზული კვლევა თუ ანალიზი, მაგრამ ასეთი რამ თუ არსებობს, ადვილად მივალთ იმ დასკნამდე, რომ ამ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების უკან, ხშირ შემთხვევაში, ამა თუ იმ პოლიტიკური თუ ბიზნესჯგუფების ან უფრო უარესი – დანაშაულებრივი სინდიკატების კარგად შეფუთული და შენიღბული ინტერესები დგას, რომლებიც არ შეიძლება თანხვედრაში მოდიოდეს ქართველი ხალხის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.**

მიუხედავად ამისა, ამ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სხვადასხვა ბერკეტების მოშველიებით, მაინც მოახერხეს, განზე გაეწიათ საზოგადოება, ხალხი და, როგორც ზემოთ ვთქვით, ხელისუფლებასთან მუდმივი დისკუსიის რეჟიმში, რომელსაც ზოგჯერ შანტაჟის და ფსიქოლოგიური ზეწოლის ელფერი დაჰკრავს, ხალხის, საზოგადოების სახელით ელაპარაკათ და ემოქმედათ.

შედეგად მივიღეთ ის, რომ სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან არაერთგზის გაჟღერებული განცხადება, რომ აუცილებელია საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთობა, საზოგადოებას თვითნებურად და დემაგოგიურად ჩანაცვლებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და ურთიერთობის დონეზე დავიდა, საზოგადოება და ხალხი კი განზე დარჩა.

განზე დარჩენილი ხალხი და ხალხსა და ხელისუფლებას შორის ხალხის სახელით ჩაკვეხებული არასამთავრობოები, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ ისინი და მხოლოდ ისინი არიან საზოგადოების ინტერესების გამომხატველნი, ოთხივე მხრიდან უტევენ ქართულ სახელმწიფოს და თუ ძალიან არ ვიმარჯვეთ, იმასვე უზამენ ამ ქვეყანას, რაც თავის დროზე „მხედრიონმა“, „მდედრიონმა“ თუ „საძმოებმა“ უქნეს.

ესაა რეალობა და ამ რეალობას, პირველ რიგში, ხელისუფლებამ უნდა გაუსწოროს თვალი, სანამ ამ თვალს გიგაურები, პატარაიები, მიქელაძეები, სალაძეები, ვერძეულები, წიქარიშვილები არ გამოთხრიან...

**„საერთო გაზეთი“**

# თოთხმეტი წელი, როგორც თოთხმეტი ტყვია



გასულ კვირას, კიდევ ერთი აღიარება მოისმინა საზოგადოებამ. პოლიციის მაღალჩინოსანმა, საჯაროდ, ჟურნალისტთან ინტერვიუს დროს, განაცხადა, რომ ბუტა რობაქიძის მკვლელობის დღეს, დაკავებულებს იარაღი არ ჰქონდათ და მკვლელობის შემდეგ იქნა შემთხვევის ადგილზე მიტანილი. ეს არის რიგით მეორე ჩვენება, სადაც გარკვევით ითქვა ის, რაც ისედაც იცოდა საზოგადოებამ. საზოგადოებამ ისიც იცის, რომ მკვლელობის დაფარვის საქმეში სხვებთან ერთად ლომის წილი გურამ დონაძეზე, ვანო მერაბიშვილის პრეს-სამსახურის უფროსზე მოდის.

საზოგადოებამ ყველაფერი იცის, მაგრამ გამოძიება მიუხედავად ყველაფრისა მაინც ერთ ადგილს ტკეპნის უკვე რახანია: ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე, საზოგადოებრივი მღელვარების შემდეგ, მხოლოდ პატრულის თანამშრომელი გრიგოლ ბაშალეიშვილი გაასამართლეს. მას 2006 წელს, რობაქიძის გაუფრთხილებელი მკვლელობისთვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა მიუხედავად იმისა, რომ პროცესზე თავად ბაშალეიშვილმაც აღიარა, რომ ბუტა რობაქიძეს და მის მეგობრებს იარაღი არ ჰქონიათ, სასამართლომ ეს მხედველობაში არ მიიღო. 2012 წლის დეკემბრამდე ამ საქმეზე ბრალდებულებად ბუტა რობაქიძის მეგობრები ითვლებოდნენ, გახმაურებული მკვლელობისა და შემდეგ დანაშაულის დაფარვის საქმეში, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ ჩართული. ეს მძიმე დანაშაული ვარდების რევოლუციიდან ერთი წლის თავზე, 2004 წლის 24 ნოემბერს მოხდა. მეორე დღეს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ -ის ეთერით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაცემა „პატრულმა“, რომელსაც შსს-ს პრესსამსახურის მაშინდელი უფროსი გურამ დონაძე ხელმძღვანელობდა, გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს პოლიციამ კარგად შეიარაღებული ყაჩაღური ჯგუფის დევნის ოპერაცია განახორციელა და წინააღმდეგობის გაწევის მომენტში ერთ-ერთი დამნაშავე მოკლა. ამ ვერსიის გასამყარებლად გადაცემაში აჩვენეს ავტომატები და ხელყუმბარები, მათ შორის რობაქიძის გვამთან. დღეს მთავარი პროკურატურა აცხადებს, რომ პოლიციისა და პროკურატურის მაღალჩინოსნებმა ახლადშექმნილი „პატრულის იმიჯის“ გადასარჩენად, შემთხვევის ადგილზე იარაღი მიიტანეს და მტკიცებულებები გააყალბეს. პროკურატურის ინფორმაციით, ამ დანაშაულში მონაწილეობდა გურამ დონაძეც, რომელსაც ხელს რამდენიმე ადამიანი ადებს. მათ შორის, ყოფილი გამომძიებელი შალვა ნიქაბაძე.

ასევე, ბუტა რობაქიძის მეგობრებიც, რომლებიც იმ საბედისწერო ღამეს დააკავეს.

პროკურატურის ინფორმაციით, გურამ დონაძის გარდა, მტკიცებულებების გაყალბებასა და დანაშაულის დაფარვაში ასევე მონაწილეობდა პოლიციის მინიმუმ ექვსი მაღალჩინოსანი. მათ შორის საპატრულო პოლიციის მაშინდელი უფროსი ზურაბ მიქაძე. პროკურატურამ იგი ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში დააკავა, თუმცა, სასამართლომ 16 ათასი ლარის ოდენობის გირაოთი გაათავისუფლა.

წლების წინ, დააკავეს თურქეთიდან დაბრუნებული გურამ დონაძეც, რომელიც არჩევნებამდე ტელეკომპანია „რეალ ტვ“ -ს ხელმძღვანელობდა. დონაძე ბრალდებებს უარყოფს. თავის დროზე, იგი საერთოდ ამბობდა, რომ რობაქიძის მკვლელობის დროს საქართველოში არც კი იმყოფებოდა. სასამართლომ მას 25 ათასიანი გირაო შეუფარდა.იგივე განმეორდა პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნების: ირაკლი ფირცხალავას, ალექსანდრე გვაზავასა და დავით იაშვილის მიმართაც. ეს ეჭვმიტანილები მოსამართლემ 15 ათას ლარიანი გირაოთი გაათავისუფლა.

ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ გურამ დონაძე ზეწოლას ახდენს მოწმეებზე, მათ შორის გადაცემა „პატრულის“ ყოფილ თანამშრომელ გოჩა მუკბანიანზე. ეს ადამიანიც ხელს დონაძეს ადებს და აცხადებს, რომ გამოძიების საწყის ეტაპზე, ცრუ ჩვენების მიცემა დონაძემ აიძულა. რამოდენიმე დღის წინ, ბუტა რობაქიძის საქმეზე ბრალდებული კრიმინალური პოლიციის ყოფილმა უფროსმა ზაზა ბაქრაძემ გურამ დონაძე და ზურაბ მიქაძე შანტაჟში დაადანაშაულა – „ფირი, რომელიც ტრიალებს ამდენი ხნის განმავლობაში, აბსურდულია. ეს ფირი არის მონტაჟი. ალბათ აინტერესებს საზოგადოებას, თუ სად არის ნამდვილი ფირი. მე გეტყვით, სად არის. ეს ფირი აქვს გურამ დონაძეს. მე ამ ფირით მთელი რვა თვის განმავლობაში განვიცდი შანტაჟს და ზეწოლას. შანტაჟი ხორციელდება როგორც ჩემი შვილის მიმართ, ისე ადვოკატზე. გურამ დონაძე მიდის მათთან და მითვლის მე, რომ თუ არ ვიქნები ჩუმად, თუ არ მოვიცდი, მანამ ისინი დაადასტურებენ,



რომ შემთხვევის ადგილზე იყო იარაღები, ამის შემდეგ მივცემ „სკაიპით” ჩვენებას, რომ შემთხვევის ადგილზე იყო იარაღები, თუ ასე არ გავაკეთებ, მითვლის, რომ მას აქვს ფირი, სადაც ვჩანვარ მე, სხვა ხელმძღვანელი მუშაკები და ამ ფირს გამოაჩენს. მე არაფერი მაქვს დასამალი, აქედან ვუთვლი გურამ დონაძესაც და საზოგადოებასაც. მე ჩადენილი მაქვს დანაშაული”.

2013 წლის დასაწყისში დონაძემ ახალი ზღაპარი მოიგონა, ბუტას მკვლელობის ჩანაწერი კიდევ გააყალბა და ირაკლი ფირცხალავას „გაახმოვანებია“ შემდეგ ბრიფინგზე ჩვეული გაიძვერობით განაცხადა: მე დღეიდან მკვლელი არ ვარ და ეს დავამტკიცე, – მტკიცებულებად კი ჩუღურეთის პოლიციის ყოფილი უფროსის ირაკლი ფირცხალავას მიერ გავრცელებული კადრები „აღიქვა“, როგორც დონაძემ აღნიშნა, ეს კადრები მას აქამდე ნანახი არ ჰონდა და გავრცელებული კადრებით გაოცებულია. -”გარკვეულმა ჯგუფებმა პოლიტიკურ ჭრილში აღნიშნული ვიდეომასალა გადაამონტაჟეს და გავრცელდა ინტერშუმიანი მასალა, ისე როგორც უნდოდათ. ვახო კომახიძემ გაავრცელა მსგავსი სიყალბე, რამაც საზოგადოება შეიყვანა შეცდომაში, რაც ჩვენ ენახეთ საოცრება იყო. არასოდეს ბუტა რობაქიძის ოჯახისთვის პასუხი არ გამიცია იმ ბრალდებებზე, რომელსაც ისინი 9 წლის განმავლობაში მიყენებდნენ, იმიტომ არ ვცემდი პასუხს, რომ მესმოდა მათი ტრაგედია. მე დღეიდან მკვლელი არ ვარ და ეს დავამტკიცე. დღეს ამ საქმეს ფარდა აეხადა”, მისი თქმით, შემთხვევის ადგილზე გადაღებული სრული ვიდეომასალა მას ნანახი არ ჰქონდა, მხოლოდ ჟურნალისტ გოჩა მუკბანიანის მიერ დამონტაჟებული მასალა ჰქონდა ნანახი. რასაკვირველია დონაძე მაშინაც ტყუოდა და ეხლაც ტყუის. ჩვეული უტიფრობით ცდილობს საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს. ზოგადად, ნაცმაცუნებს დიდი იმედი აქვთ, რომ დრო და სიჩუმე საზოგადოებას და კონკრეტულ დაზარალებულ ადამიანებს, ყველა მათ მიერ მიყენებულ ჭრილობას მოუშუშებს. ცნობილია, რომ სისხლის მოყვარული დონაძე არაერთ უდანაშაულო „კრიმინალის“ ლიკვიდაციას ესწრებოდა. ანუ, თანამონაწილე გახლდათ განსაკუთრებით მძიმე არაერთ დანაშაულში, მაგრამ სამწუხაროდ დღესაც თავისუფლად დადის და შანტაჟის, პროვოკაციის საშუალებით ცდილობს აიცილოს უმძიმესი პასუხისმგებლობა. გაუმართლა და მართლაც საოცრებათა ქვეყანაში ცხოვრობს, სადაც ყველამ ყველაფერი იცის თუმცა, პროკურატურა კუს ნაბიჯებით მიიწევს წინ, ხოლო სასამართლო „ვიღაცის“ დავალებით გირაოთი ათავისუფლებს მკვლელებს, რომლებიც არაერთ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ჯგუფურად მონაწილეობენ. ბუტას მკვლელობიდან თოთხმეტი წელი გავიდა. თოთხმეტი წლის შემდეგ ნაცხროვა კიდევ ბედავს და ბუტას დედას სასამართლო პროცესებზე ამწარებს. ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე, ია მეტრეველის დაკითხვისას გურამ დონაძემ დასვა კითხვა – „ქალბატონო ია, დაკითხვის დაწყებამდე თქვენ განაცხადეთ, რომ ოჯახი გაგინადგურეთ და აღარ გყავთ. თუ შეიძლება გვითხარით, რას ნიშნავს ეს“. ამ კითხვას ია მეტრეველის ემოციური რეაქცია მოჰყვა და იგი შეუძლოდ გახდა.



„ამ ყველაფერში საკაშვილია თავი და თავი. მან უთხრა პოლიციელებს, ხელი არ აგიკანკალდეთ, ესროლეთო. 160 ბიჭი დახვრიტეს ქუჩაში. 10 წელი ვიბრძოდი, რომ ეს ჯალათები შემეჩერებინა. თქვენ წარმოდგენა არ გაქვთ, თქვენს შვილებს რა ცოდვას უტოვებთ. ისეთი შვილი მომიკალით, აუცილებლად გადავა ეს ცოდვა თქვენს მოდგმაზე“, – მიმართა ია მეტრეველმა ბრალდებულებს. უბედურებაა ისიც, რომ ნაცხროვის ეგრედწოდებულ მკვლელ სამართალდამცავების უმეტესობას. ყავთ ოჯახები. მშობლები, შვილები, და-ძმები რომლებსაც სულაც არ აწუხებთ, რომ მკვლელის, ჯალათის, გარეწრის, არაკაცის ოჯახისწევრები არიან. თუმცა, მალე დადგება ნანატრი დრო და რიგი გარემოებიდან გამომდინარე, ნაცხროვის „საერთო მამა“ მათ სამაგალითოდ გაწირავს და ისეთივე პროვოცირებით და შანტაჟით დაადუმებს, როგორც ნაცგარეწრები ცდილობენ მოწმეების და დაზარალებულების დადუმებას.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# რატომ ვეზევრებით ევროპას?



ქეშას ბლოგი

მიხოს ბიჭი სკოლიდან დაღვრემილი მოდის:

- რა იყო, შვილო, რა უხეირო ვირივით ჩამოგიყრია ყურები?

- რავი, მამი, ლოგიკის მასწავლებელმა გამომაგდო გაკვეთილიდან.

- რათა ვითომაო, რა ჩემი ფეხები უნდა?

- აი, წუხელი ლობიო რომ ვჭამე, ცოტა შემბერა და ჰაერი გავაფუჭე.

- ეეე, მოვ... ლოგიკა ლოგიკის მასწავლებელს, შენ გამოგაგდო და ის შიგნით დარჩა?

რავი, აგვიწრიალებია ევროპა, ისე აგვიწრიალებია, რომ ლიბერალიზაციას გვიჩერებენ თურმე, ვიზალიბერალიზაციას, ვიზა, თორემ, მაგათი „ტონკი“ ლიბერალიზაცია გინდ გაჩერებული იყოს და გინდ მავალი – რა ხეირი დაგვაყარა.

ხოდა, რანაირად მოვედით ამ ევროპას – სულ 4 მილიონ ორასი ათასი ვართო, გვეუბნებიან. აქედან 3 მილიონ ორასი ათასი საქართველოში ცხოვრობსო – აღგვწერა საარჩევნო კომისიამ, 700 ათასი რუსეთში ცხოვრობსო – გვეუბნება სტატისტიკის სამსახური, 300



ათასამდე ოკეანის გაღმა ვართ გასულები და ამ ევროპას რამდენნი მოვედით – 250 კაცი? 300?

ან სტატისტიკის სამსახური გვატყუებს, ან საარჩევნო კომისია, ან უცებ გავმრავლდით და აღწერა ვერ მოასწრეს, მეტნი ვართ ეტყობა, ასე 10 მილიონამდე, ან 15 მილიონამდე ვართ, ალბათ...

რა მოვდით ამისთანა გერმანიას, რაიხსტაგზე რომ დროშა ავაფრიალეთ – მაშინაც არ გაუპროტესტებია, ახლა იმაზე უარესი დავმართეთ, ვითომ?

აკი, ისე გვასიამოვნა შევარდნაძემ – ქართველი ხალხი ჩვენი ძმები და დები იქნებიანო? რავა, ცალმხრივია და-ძმობა? ჩვენ უნდა გვიდოთ და გვიძმოთ და ჩვენ არა, ბატონებო? ნამეტანი ხანმოკლედ უსიამოვნებიხართ შევარდნაძეს თქვენ.

აკი, ქალაქები დავაძმობილეთო? რანაირი ძმობაა, თქვენ სტუმრად ჩამოდიხართ – თავზე დაგფოფინებთ, თქვენ ჩვენს ქალაქებში ბანკებს ხსნით, ბიზნესებს იწყებთ, სახლებს ყიდულობთ – მაინც გერმანულად ან ინგლისურად გვესაუბრებით ზემოდან – ჩვენ თქვენს ქალაქებში თქვენს შვილებს ვზრდით, თქვენს ენას ვსწავლობთ, დაბერდებიან მერე ეს ბავშვები და ისევ ქართველი გინდათ პამპერსის გამოსაცვლელად. ამოუვა მერე, ათიდან 2 ქართველს, შარდის და განავალის ყურება, გავა და ერთ შარვალს მოიპარავს – მაგაზე ატეხეთ ერთი ამბავი? – ტყუილია, არ მჯერა – შარდის სუნი უდის მაგ ისტორიას.

ჩვენი დანათესავება და მოყვრობა ამ ანეგდოტს მაგონებს:

- რაზე ოცნებობ, მიხო?

- იახტით რომ მივცურავდე შუაგულ ოკეანეში, კარგ ვისკს ვსვამდე და კარგ სიგარას ვაბოლებდე.

- მე სად ვარ მაგ დროს?

– შენ, აგერ, საცხა შავ ზღვაში იხრჩობი.

ჩავიდა ჩემი მეგობრის ქმარი ისრაელში, დღეში 12 საათი მუშაობს, მშენებლობაზე მუშაობს, ტვირთს ზიდავს – დაზღვევა იმას არა აქვს და კვება, როგორც არალეგალს ცოტას უხდიან – თან თავს ამეტებენ, იქაც ზემოდან უყურებენ – არ დაიწყოთ ახლა, ებრაელი და ქართველი ხალხის მეგობრობაზე საუბარიო.

რატომ, **HELLADOS**, რატომ? დაგავიწყდა ლაწირაკი იანგული?

გაივლი, თურმე, პარიზში და შეგხვდება: ფრანგი არაბი, ფრანგი აფრიკელი, ფრანგი თურქი, ფრანგი ერაყელი. ფრანგი ქართველი გაწუხებთ მარტო?

ერთი პირი ვიფიქრე, იქნება სააკაშვილის ბრალია-თქო, ხან რომელ ქვეყანას მიადგა, ხან რომელს, ხან ვისი პასპორტით დადის, ხანაც სულ უპასპორტოთ – იქნება ამ ერთი ყოფილი პრეზიდენტით წავლეკეთ ევროპა?

არა, თქვენ, ქართველები ქურდობთო.

ჩვენ 15 მილიონი ქართველი ჩავედით ევროპაში და 15 მილიონი ტელეფონი მოვიპარეთ, ალბათ.

ჩვენ 15 მილიონი, გამოუსვლელი, უნახავი ქართველი ჩავედით საათივით აწყობილ ევროპაში, კარგად გამართული, ახალი ტექნოლოგიებით დამონტაჟებული სიგნალიზაციის სისტემა გავტეხეთ და მაღაზიები გავიტანეთ.

ძალიან ნიჭიერი ხალხი ვყოფილვართ, თვალით უნახავი ტექნოლოგიები თუ წამში გავტეხეთ და გვიყურეთ და ისწავლეთ, გვიყურეთ და განვითარდით.

ახლა რა ხდება იცით? ჩვენ ქართველები ნიჭიერი და განვითარებული ერი ვართ, ევროპა რომ გუბიდან სვამდა წყალს, მაგ დროს შუშანიკმა ჭიქა შეალეწა ვარსქენს სახეში, მე- 16 საუკუნეში, რომ საფრანგეთის მეფემ ბრძანება გამოსცა: ყველა კარისკაცს დაევალდებულოს წელიწადში ერთხელ დაბანაო – ჩვენ აბანოთუბანი გვქონდა გაშენებული... ხოდა, მოვა დრო და ეგენიც განვითარდებიან და ისწავლიან ქურდობას, ახლა უკვირთ, თორე, მოვა დრო და ისწავლიან...

მაინც ვერ გავიგე, რაო, რა ქნა ქართველმაო? მაღაზია გატეხაო?

იქნება, ბავშვები დახოცა იმ ირლანდიელივით? იქნება, მანქანით შევარდა ხალხით გადაჭედილ სავაჭრო ცენტრში ტერორისტი არაბივით? იქნება, ბომბი დადო მეტროში? იქნება ავტომატით შევარდა სკოლაში? – არა?

აბა, ტერორისტ მუსლიმანებს თავზე ხელს უსვამთ და ჩვენთვის პანღურის ამოკვრა ვინ მოიფიქრა, ვისი იდეაა ახლა ეგ ვითომ?

აფრიკელი ზანგები არც ქურდობენ, არც ყაჩაღობენ და არც იარაღით დადიან? აბა, ყველა ევროპულ და ამერიკულ ფილმში აფროამერიკელი როა ბანდიტი – რაფერაა ეგ ამბავი?

ყველა ევროპულ და ამერიკულ ფილმში – ქართველის როლი სულ მაგარი და სამართლიანი კაცი „მაფიოზი“ რომ არის და არა წვრილმანი ხულიგანი – ეგაც ბლეფი და მითია?

დავაბრუნებინებ შევარდნაძეს თქვენს გადახდილ ფულს და აგიშენებთ ისევ დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიას შორის კედელს – ასე ცოტა დავსაქმდებით, ცოტა გავერთობით და ცოტა გულსაც მოვიფხანთ.

არაქურდი ჩინელები გირჩევნიათ თქვენ, ეტყობა და შეგაჯვაროთ ღმერთმა.

ჩამოვიდნენ აფროამერიკელები გერმანიაში და გახშირდა ქალების გაუპატიურებაო – მაგას რატომ არ აპროტესტებთ? მაღაზიის გატეხვას გაუპატიურება გირჩევნიათ, ალბათ.

ე, ბიჭო, დევსიეთ, დევსიეთ გერმანელ გოგოებს, გაუპატიურებას არ იკადრებთ, ვიცი, ჩემო ბაცაცებო, მაგრამ ისე შეესიეთ, რავაც რუსებს და უკრაინელებს. თვალები დახუჭეთ და წარმოიდგინეთ, ვითომ ისინი არიან, გრძელფეხებიანები, მკვრივმკერდიანები, ტკბილსუნიანები, ტემპერამენტიანები.

რას არ იზამს ვიზალიბერაზიისათვის კაცი.

ევროპას უკვირს ჩვენი ქურდობა. იმ ევროპას – საქართველოში მოქმედი ყველა ბანკის მმართველობა რომ ხელში აქვს ჩაგდებული. ამ დახვეწილ ქურდებს უკვირთ ერთი ჯინსის ქურდობა? პენსიონერი მაგათ არ იციან და სტუდენტი, პროცენტის პროცენტის პროცენტს მანამდე ზრდიან და ბარტყავენ – სანამ ნიფხავის ამარა არ დაგტოვებენ.

ყველა ქართველმა იცის, ბანკის ვალს თუ აიღებს – პირველ რიგში უნდა გავიდეს და კარგი ხარისხის, რამდენიმე ხელი ნიფხავი უნდა იყიდოს – სულ მალე ამ ბანკის ვალის გადამკიდე, ნიფხავით მოუწევს სიარული და იმიტომ.

თუ რამე სამშენებლო კომპანიაა, უმეტესობა უცხოურია, თუ რამე კარგი ბიზნესია, უმეტესობას უცხოელი ინვესტორი ყავს – აქ, სამ მილიონ „სჩემტა“ ქართველში თუ არ გეშინიათ ქართველის, საკუთარ მილიონიან ქალაქში შემოსეულმა ასამდე ქართველმა ასე რავა გაგიხეთქათ გული?

აქამდე პირიქით იყო, მახსოვს, ყველა, ვინც ბოზი გვყავდა და მამათმავალი, ყველა, ვინც მოღალატე იყო და გადამგდები, ყველა, ვინც რჯულს ღალატობდა და კაცობას – მოგწონდა და აფასებდი, მოგწონდა და აფინანსებდი, გიყვარდა და გულში იხუტებდი, გულში იხუტებდი და გრანტში ახრჩობდი – ახლა ასამდე ქურდმა გიყო?

შარდის სუნად ყარს ეს ისტორია, არ ამიჩუყდა გული, ვერ შემიძრწუნდა სული.

ცეკვა ჩვენი მოგწონთ, ბიზნესიც ჩვენთან გინდათ აკეთოთ და ჩვენზე, ჰაერი და წყალი ჩვენი გესალბუნებათ, ბუნებაც და სტუმართმოყვარეობაც კარგი გვქონია, საჭმელი და სასმელიც, ბავშვებსაც და მოხუცებსაც ჩვენ უნდა გამოგიცვალოთ აქოთებული პამპერსები და კი უნდა შეელიოთ ახლა რამდენიმე ხელ შარვალს და ბოტასს.



რავა ყვარებია ამერიკას მექსიკა, თორე რასაც ის ითმენს მართლა და მართლა. ანუ, სიყვარულშია საქმე? ჩვენს უსიყვარულობაში საქმე თუ რუსეთის სიყვარულშია?

რუსული შარდის სუნი მცემს მანდ. რაო, რუსეთმა, არ გინდათ ვიზალიბერალიზაციაო? გაიპოხეთ ისევ ვაზელინით ევროპული თავი და შემომიძვერით ციმბირის სათავეებთანო?

კახელმა ცოლი მოიყვანა და ვირმა ვენები გადაიჭრაო.

კახელი ჩვენ ვართ, აბა ვინ იქნება, ცოლი თქვენ და ვირი დარჩა რუსეთს.

რა ვქნათ, ისევე რუსეთს შევესიოთ?

იქ, ქე მაინც, ერთ ხელ შარვალს არავინ გვამადლის.

ქართველი თუ არ მეყოლება, რა ჯანდაბად მინდა თქვენი ეიფელის კოშკი, ლონდონის ნისლიანი ქუჩები, ბავარიული ლუდი, იტალიური ფეხსაცმელი. ჭირსაც წაუღია პიზას კოშკი – ქართველი თუ არ მეყოლება, არც იმ ტერორისტებთან საბრძოლველად დამიძახოთ, ქართველი თუ არ მეყოლება – ყველამ თავის ტერორისტს მიხედოს, ქართველი თუ არ მეყოლება – არც გერმანული ევრო მინდა, არც ამერიკული დოლარი. ქართველი თუ არ მეყოლება – რა თავში ვიხლი ნატოს.

კი, ბატონო, გამოვიყვანთ მაგ ევროპას შესეულ ქართველებს უკან და შევასევთ რუსეთისკენ, მაგრამ, მანამდე თქვენ აახიბაკეთ თქვენი ბანკები, ბიზნესები, ტურისტები, მშენებლობები და წაახიბაკეთ უკან, თქვენს საათივით აწყობილ ევროპაში.

ის, ყველა უვარგისი: ლოთი, ბოზი, მამათმავალი, უვარგისი, ურჯულო, მოღალატე – დაიტოვეთ, ისევ ჩაიხუტეთ, ისევ დააფინანსეთ, ისევ ჩაახრჩვეთ გრანტებში – ჩემი ქურდბაცაცები კიდევ ჩემთან.

დაიტოვეთ ტერორისტები, აფროამერიკელი ყაჩაღები, დაიტოვეთ ქალებზე მოძალადეები – ჩემი ქურდბაცაცები კიდევა ჩემთან.

გაპოხეთ ვაზელინით ტანი და დაუყევით ციმბირისკენ რუსული შარდით მონიშნულ გზას ჩვეულებისამებრ – ჩემი ქურდბაცაცები კიდევა ჩემთან.

555 46 08 04



# საქართველოს ბერმუდის სამკუთხედი



***გვესაუბრება „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე:***

**— ხშირად ისმის მოსაზრება: უნდა გავცვალოთ თუ არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ნატოს წევრობაზე. რამდენად ადეკვატურია ასეთი მიდგომა?**

— ეს სრულიად არაადეკვატური მიდგომაა. აქ, გასაცვლელი არაფერი არ არის. თეორიულად ვამბობ, ეს გეგმა რომც განხორციელდეს, სულაც არ ნიშნავს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი — ჩვენი ძირძველი მოსახლეობაც და მიწებიც მივატოვეთ ან დავივიწყეთ. არავითარ შემთხვევაში! ამიტომ, პირველი ტყუილი რაც საქართველოს მასმედიაში ისმის, ეს არის მსჯელობა იმაზე უნდა გავცვალოთ თუ არა ჩვენი ტერიტორიები ნატოს წევრობაზე? ამას არც არავინ გვეუბნება. ნატოში ამ საკითხს არავინ იხილავს. როცა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ლუკკოფი ამბობს როგორ უნდა იმოქმედოს ნატომ. ამაზე, მინდა გითხრათ: ამ ორგანიზაციას არანაირი წონა და გავლენა ამერიკის და არც ნატოს სხვა წევრი ქვეყნების ადმინისტრაციებზე, არ აქვს. ეს მისი აზრია. წარმოიდგინეთ, რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციამ თქვას: მოდით, პეტრე მამრაძეს ნობელის პრემია მივცეთ. აქ, კი ატყდეს დისკუსია — დავთანხმდე თუ არა ამ პრემიას. ვინმე გაძლევს პრემიას?!

**— თქვენ ახსენეთ, ნატო მაპსაც კი არ გვაძლევს იმიტომ, რომ საქართველოს უფრთხილდებაო. თუ, დავუშვათ, გაცხადდება, რომ მაპს გვაძლევენ, რომელიც თავდაცვის არანაირი გარანტია არ არის, რა საფრთხის შემცველია ყოველივე?**

— ყირიმის ანექსიამ პუტინის რეიტინგი 90-ზე მეტ პროცენტზე აიყვანა, ახლა, უკვე ასე დიდი აღარ არის. ეჭვი არავის ეპარება, რომ იგი არჩევნებში გაიმარჯვებს. დავუშვათ, დაფიქსირდა პროცენტული კლების ტენდენცია. დავიწყოთ იმით, რომ პუტინის ადმინისტრაციას გამზადებული აქვს ყველა დოკუმენტი იმისათვის, რომ სამხრეთ-ოსეთი ჩრდილო-ოსეთს შეუერთონ. როგორც კი პიარისთვის დასჭირდებათ, ამ ქაღალდს ამოიღებენ და მაგიდაზე დაუდებენ, რუსეთის კონსტიტუცია იმ დღესვე შეიცვლება, როგორც ყირიმთან დაკავშირებით შეიცვალა და მოხდება, როგორც თავად ამბობენ, ისტორიული სამართლიანობის აღდგენა — შეიქმნება ერთიანი ოსური სახელმწიფო. მაშინ რეიტინგი ისევ აიწევს 100%-მდე. ზუსტად ასე, გავშიფროთ ამერიკის ელჩის ცნობილი განცხადება მაპთან დაკავშირებით: ვუფრთხილდებით საქართველოს. რომ არ გაუფრთხილდნენ? ნატოს სამიტმა რომ გამოაცხადოს, გადავწყვიტეთ საქართველოს მაპს — გაწევრიანების გეგმას ვაძლევთო (არადა, როგორც ვახსენე, თავდაცვის მხრივ იქ, არავითარი გარანტია ჩადებული არ არის. უბრალოდ, ერთგვარი სიგელია, რომ კარგად ემზადები), აი, იმ ღამითვე გადაადგილდებიან რუსეთის სამხედრო ნაწილები აფხაზეთიდან, ცხინვალიდან, (თბილისიდან 30 კილომეტრში ტანკები დგას), თუ გიუმრიდან და ნებისმიერ იმ ტერიტორიას დაიკავებენ, რომელიც აწყობთ. საქართველო ამ სამკუთხედშია მოქცეული, ამ სამი მძლავრი სამხედრო ბაზის სამკუთხედში. მაგალითად, დაიკავებენ ახალქალაქის ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიას იმ საბაბით, რომ აგერ, თურქეთი ნატოს წევრია, საქართველოც უკვე შედის ნატოში და საჭიროა დაცვა. თანაც, იმ საბაბით, რომ ამას ის ხალხები ითხოვენ, ვინც დაუცველია, იგივე, სამხრეთ-ოსეთის და აფხაზეთის მოსახლეობა. შულავერის კომიტეტებს რა გამოლევს. ზუსტად იგივე მოხდება, რაც ჩერნოგორიის შემთხვევაში მოხდა. ჩერნოგორია, იმის გამო რომ გეო-პოლიტიკური ვითარება იქ სულ სხვაა, ანუ, შორსაა, ამან გადაარჩინა. ჩვენ, კარის მეზობელი ვართ, რომლის ტერიტორიაზე ორი მძლავრი ბაზაა და ერთ-ერთი ბაზის ნაწილები დედაქალაქიდან 30 კილომეტრშია. ამის გამოა, რომ ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული ნატოს წევრ ქვეყნების ლიდერებს, ნატოს ადმინისტრაციას ბრიუსელში. არაერთხელ მქონდა გულახდილი საუბარი წარმომადგენლებთან, ეს ძალიან კარგად იციან და სამიტებზე მაპზე საუბარსაც კი დაანებეს თავი. გახსოვთ, თინა ხიდაშელის კომიკური განცხადება — ჩვენ, მაპს უნდა გადავახტეთ, პირდაპირ წევრობა გვჭირდებაო. ასეთი ვითარებაა.

**— ბატონო პეტრე, ქართველ პოლიტიკოსტაქ მხრიდან ასეთი მოსაზრებაც ისმის: შევიდეთ ნატოში აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე. დასავლეთი ხომ აღიარებს ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას და ეს ტერიტორიებიც ავტომატურად თან შემოგვყვებაო?**

— ეს არის სრული მარაზმი, რომლის უკან ზოგიერთი ვაი-პოლიტიკოსი დგას. პოლიტიკოსს ვერ უწოდებ ადამიანს, რომელსაც მსგავსი თემით სპეკულირება შეუძლია. ორი რამ არის: თუ ადამიანს გულწრფელად სჯერა, რომ ნატოში შევა, ეს ნიშნავს, რომ არაადეკვატურია, რეალობას ვერ აღიქვამს. მაგრამ თუ შესანიშნავად იცის რომ ეს ყველაფერი ტყუილია, რეალობა სულ სხვაა და მაინც ასე ლაპარაკობს, ე.ი. თაღლითია და დასავლეთის თვალში ქულების შესაგროვებლად ხალხს ატყუებს, ეს დანაშაული, პოლიტიკური თაღლითობაა. იგივე ითქმის ვაი-ექსპერტებზე. დახედეთ, ხალხის მასას. რეგულარული ურთიერთობა მაქვს მოსახლეობის ყველა ფენასთან, პრაქტიკულად, არავის ეს თემა აღარ აინტერესებს, ყველა სკეპტიკურად და საღად უდგება ამ ამბავს იმიტომ, რომ 25 წელი გავიდა. 25 წლის წინ, 1992 წელს თავად მახსოვს როგორ ყვიროდა მიტინგზე ირაკლი წერეთელი, რომ ნატო უკვე ჩვენს დასახმარებლად მოდის. ხალხი ცაში იყურებოდა ნატოს ვერთმფრენების მოლოდინში. ეს დრო წარსულს ჩაბარდა, მაგრამ მასმედიის ნაწილში, ვაი-პოლიტიკოსებში თუ ვუი-ექსპერტებში ეს თემა დარჩა. შეგახსენებთ, რომ სააკაშვილის დროს მიიღეს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. ეს არის კანონი, რომლის ამოქმედებით სააკაშვილი საკუთარი ხელით ანიჭებდა პუტინის რეჟიმს ექსკლუზიურ უფლებას აფხაზეთთან და სამხრეთ-ოსეთთან დაკავშირებით. რატომ? — იმიტომ, რომ რუსული ტანკები, სხვა შეიარაღებული ძალები, რაკეტებიც კი, ბაზები, იქ, დგას. რუსები ორივე რეგიონში შესულები არიან მაქსიმალური ძალით, ხოლო ოკუპაციის კანონი დანარჩენებს ხელს უშლის, რომ აფხაზებთან ურთიერთობა ჰქონდეთ. რამდენი შემთხვევა ვიცი, ამერიკელ, ევროპელ, თუ კანადელ ჟურნალისტებს გაუჭირდათ ჩასვლა აფხაზეთში, რადგან პირდაპირ რომ ჩასულიყვნენ, მერე, საქართველოში ვერ ჩამოვიდოდნენ. ეს ერთი, მეორეც: ეს მარაზმი დღემდე გრძელდება. მაშინ ევროგაერთიანების კომისარმა თქვა, რომ სამწუხაროდ, ქართველები თვითონ აშენებენ რკინის ფარდას და აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთს საკუთარი თავისგან

8 გვ.



## მამისა ჯაფარაშვილი:

# ისევ ევროპა თუ გვიშველის და ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმს აამოქმედებს, თორემ საქართველოში ქართველი აღარ დარჩება



**თავშესაფრის მინიჭების ევროპულმა ოფისმა (EASO) ბოლო სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, 2016–2017 წლებში საქართველოდან ევროპაში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა 35%-ით გაიზარდა. EASO-ს მონაცემებით, მხოლოდ გასული წლის დეკემბერში საქართველოს მოქალაქეების მხრიდან თავშესაფრის მოთხოვნით 1465 განცხადება დაფიქსირდა.**

**44%-ით გაიზარდა საქართველოდან შვეიცარიაში თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი. გერმანიის ოფიციალური უწყებების ცნობით, საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მინიჭების შემდგომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართველთა ლტოლვილად დარჩენის შემთხვევები. გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის ტომას დე მეზიერის განცხადებით, თუ საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი გაიზრდება, გერმანიამ შესაძლოა, უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმი აამოქმედოს. უსამართლობის მსხვერპლთა დაცვის სახალხო კომიტეტის ხელმძღვანელი, სახალხო ტრიბუნების პრეზიდენტი მამისა ჯაფარაშვილი დარწმუნებულია, რომ არსებულ რეალობაში, ეს ჩვენი ქვეყნისთვის საუკეთესო გამოსავალი იქნება.**



— სამწუხაროდ, ამჯერადაც ვერ ავცდები საბანკო-სამევახშეო სისტემაზე საუბარს, იმიტომ, რომ ბოლო 20–25 წლის მანძილზე ჩვენი უბედურების სათავე სწორედ ეს პრობლემა გახლავთ. ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ძალადობით მოსულმა ხელისუფლებამ საკუთარი მოსახლეობის ტერორის გზა აირჩია და ხალხს ისეთი პროექტები მოახვია თავზე, რომლებიც ქვეყანას არაფერში წაადგებოდა და პირიქით, ეკონომიკას და სოფლის მეურნეობას დაანგრევდა და ასე თუ გაგრძელდა, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ნგრევას და ყოველგვარი ეროვნულისა და ტრადიციულის დასამარებას მივიღებთ.

ადრეც ვამბობდი და დღესაც ვამბობ, რომ ნორმალური ქვეყნისთვის ვიზალიბერალიზაცია დიდი მონაპოვარია, მაგრამ ჩვენისთანა ქვეყნისთვის შეიძლება დამღუპველი გახდეს. წარმოიდგინეთ, როგორ უნდა უჭირდეს ადამიანს, რომ მშვიდობიანობის დროს, თავისი ქვეყნიდან ოჯახიანად აიყაროს და სხვა ქვეყანაში დევნილად ჩაბარდეს. ალბათ, მავანთა მიზანიც ეს იყო, რადგან ამ ქვეყანაში ჩაგრულთა კლასის ადგილი არ დარჩა. ოფიციალური სტატისტიკით, მარტო 2017 წლის დეკემბერში საზღვარგარეთის ქვეყნებში თავშესაფარი საქართველოს 1465 მოქალაქემ მოითხოვა და ყოველი მეორე-მესამე კაცი აქედან გაქცევაზე ფიქრობს. ამ რეალობაში, ისევ ევროპა თუ გვიშველის და შეჩერების მექანიზმს აამოქმედებს, თორემ საქართველოში ქართველი აღარ დარჩება. შექმნილ ვითარებაში, ლომის წვლილი სწორედ საბანკო-სამევახშეო სისტემას მიუძღვის, რომელმაც ადამიანებს ქვეყნიდან გაქცევის გარდა, გამოსავალი არ დაუტოვა.

**— როგორც ვიცი, 26 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოსთან საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავთ. იქნებ აქციის ჩატარების მიზეზებსა და მიზნებზე გვიამბოთ?**

— 26 თებერვალს გაიმართება სასამართლო პროცესი, რომლის შემდეგ ეკონომიკის სამინისტრო ანუ სახელმწიფო ქუჩაში გამოყრის 165 ადამიანს მათ შორის, 52 ბავშვს. საუბარია ჩხეიძის ქუჩა №8 ში, ყოფილი მუსიკალური სკოლის შენობაში შეჭრილ დევნილებზე და ოფიციალური სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველებზე. ერთ-ერთ პროცესზე მოსამართლეს ვკითხე, გასაგებია, რომ ეს ქონება სახელმწიფოსია და მისი უკან დაბრუნება სურს, მაგრამ მოქალაქეები, რომლებსაც საცხოვრებელი არ გააჩნიათ, ვისია და რატომ არ სურს ხელისუფლებას მათზე პასუხისმგებლობის აღება?

**— თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ მუსიკალურ სკოლაში შეჭრილი მოქალაქეების პრობლემის გადაჭრა?**

— უნდა შექმნილიყო უწყებათაშორისი კომისია, რომელიც თითოეული ოჯახის საქმეს შეისწავლიდა. შეიძლებოდა ალტერნატიული საცხოვრისის გამონახვა თბილისში და რეგიონებში. შეიძლებოდა, რომ მთავრობას ყველა სამშენებლო კომპანიისთვის თითო ან ორი ოჯახის ბინით უზრუნველყოფა დაევალებინა, რადგან ასეთი რამ ყველა ქვეყანაში ხდება. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, გეტყვით, რომ სასამართლოზე რამდენიმე შუამდგომლობა დავაყენე და ყველაზე უარი მივიღე. ჩემთვის ხელისუფლება და მისი ნების აღმსრულებელი მოსამართლე, რომელსაც 52 არასრულწლოვანის ქუჩაში გამოყრა შეუძლია, ჩვეულებრივი მოძალადეა, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ბოლო პროცესზე, 26 თებერვალს სასამართლოსთან მოვაწყობთ დიდ აქციას, რომელსაც ახალგაზრდებიც შეუერთდებიან. საქართველო დღეს ერთადერთი ქვეყანაა, სადაც საგადასახადო ორგანო, ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და მევახშეები დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ფარგლებს ზემოთ არსებული კერძო საკუთრების უსასყიდლოდ ჩამორთმევა, მითვისება, მოვალეთა მიზანმიმართულად გაკოტრება, სამეწარმეო პროცესების პარალიზება და ადამიანების საცხოვრისის გარეშე დატოვება ხდება. დიახ, ჩვენ სასამართლოსთან ვაპირებთ აქციის გამართვას, რადგან სასამართლო იქცა ყველაზე დიდ დასაყრდენად მევახშეებისთვის თავისი ბოროტი მიზნების განსახორციელებლად. ასე თუ გაგრძელდა, ჩვენ ნამდვილად ჩავშლით სასამართლო პროცესებს და საშუალებას არ მივცემთ თავიანთი უსამართლო კანონები განახორციელონ. მერწმუნეთ, 7 წლის მანძილზე, კომერციული ბანკებისგან გამოსახლებაზე ამდენი მოთხოვნა არასოდეს ყოფილა. უკვე იმდენი დაგროვდა, რომ სასამართლო პროცესებს ვეღარ აუდიან და ბიზნეს ომბუდსმენი მოითხოვს, სასამართლო პროცესების გარეშე გადავცეთ აღსრულებასო. თურმე, სასამართლო პროცესების გაჭიანურებით ვიღაცეების საკუთრების უფლება ირღვევა. მაშინ არ ირღვევა პატივცემულებო, როცა 100 000-იან და 150 000-იან ქონებას 2000 დო-

8 გვ. →



# საქართველოს ბერმუდის სამკუთხედი

6 გვ.

იზოლაციაში ამყოფებენ. იგივეს ამბობდა პიტერ სემნებიც: სამწუხაროდ, ეს კედლები ქართველების მხრიდან შენდება. ევროპელები გაოგნებულნი არიან: თქვენ, სააკაშვილის გზას მიყვებითო. მიშა ასე მოქმედებდა – რაც უარესი მით უკეთესი. ევროპას ეს აოგნებს. ჩვენი ხელისუფლება ვერ ბედავს ნაბიჯების წინ გადადგმას, ამბობს: ეს რომ გავაკეთოთ, „ნაცებს“ ვინ გააჩერებს მერეო. „ნაცების“ ყვირილის თუ ეშინოდათ, ნის საქმეს აკეთებს. გაიხსენეთ, ლინკოლნ მიტჩელის წერილი: „ვინ აკეთებს რუსულ საქმეს საქართველოში?“, რომელსაც სააკაშვილს უძღვნის. პუტინის პროფესიონალი აგენტი იმდენს ვერ გააკეთებდა, რაც სააკაშვილმა თავისი ხელით გააკეთა. იგი პროფესიონალი აგენტი არ ყოფილა, მაგრამ კაკებეს ჯარებში მსახურობდა.

**– კიდევ ერთ თემაზე მინდა ვისაუბროთ. ვიზა-ლიბერალიზაცია, ახლახან, მივიღეთ, თუმცა, უკვე, დავდექით მისი შეჩერების საფრთხის წინაშე.**



რა უნდოდათ ხელისუფლებაში?! „ნაცები“, რა თქმა უნდა, ყოველთვის ყვირიან იმიტომ, რომ პარტიოტიზმი არის ნაძირალების ბოლო თავშესაფარი. მათ ყველაფერი რუსეთს გადასცეს და მერე, აყვირდნენ გაზპრომთან არ შეიძლება მოლაპარაკებაო. ზურაბ აბაშიძემ მთელი სია დაბეჭდა, რა გადასცეს რუსეთს. ამ სიის მნახველს ერთი კითხვა დაგებადებათ – რა არ გადასცეს? ერთს ლაპარაკობდნენ, სულ სხვას აკეთებდნენ, რაც სამშობლოს ღალატია. სააკაშვილი რუსეთზე ჰყიდდა რკინიგზას, ძლივს გააჩერეს, იმ მილს ჰყიდდა, რომელიც რუსეთს სომხეთთან აერთებს. ასე, რომ აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი საქართველოს ძირძველი ტერიტორიაა, მაგრამ დასავლეთი გაოგნებულია იმ კონტრპროდუქტიული, საპირისპიროს მომტანი მოქმედებით, რომელიც პირდაპირ რომ ვთქვათ პუტინის რეჟიმზე ასხამს წყალს. პუტი-

– მოსალოდნელი იყო, რომ ძალიან ბევრი ქართველი ვიზა-ლიბერალიზაციის რეჟიმით ქვეყნიდან მხოლოდ ერთი მიზნით გავიდოდა, რომ როგორმე ევროგაერთიანებაში დარჩენილიყო და სამუშაო ჰქონოდა. რთულია ადამიანებს ბრალი დასდო, რადგან ამას უკიდურესი გაჭირვების გამო აკეთებენ. ხალხი ხედავს, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ მილიონერები, რომლებიც აგრძელებენ ხალხის გატყავების ხარჯზე ფულის შოვნას. ბევრიც იმიტომ მიდის, რომ ევროპაში მოქმედი ქართული მაფიის წევრებს იცნობენ. ეს საწყენია, მაგრამ მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე, თავშესაფარს ითხოვენ.

**– აქ ჩნდება მეორე პრობლემა, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ევროკავშირში გაერთიანების საკითხი.**

– ეს საკითხი, დღის წესრიგში, საერთოდ არ დგას.

თამარ შველიძე
555 23 28 24



# ისევ ევროპა თუ გვიშველის და ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმს აამოქმედებს, თორემ საქართველოში ქართველი აღარ დარჩება

7 გვ.








ლარში ართმევთ? ფაქტობრივად, ადამიანების დარბევა, აწიოკება და ქვეყნიდან განდევნა გადამწყვეტ ფაზაში შედის და კანონმდებლობა თუ არ შეიცვალა, ყველაფერი ცუდად დაგვიმთავრდება..

**– როგორ წარმოგიდგენიათ კანონმდებლობა, რომელიც ადამიანებს საბანკო თუ სხვა სახის ფინანსური ვალდებულებებისგან გაათავისუფლებს და ნებისმიერ, თავისუფალ ფართში შეჭრისა და დაბინავების უფლებას მისცემს?**

– ამას არავინ ითხოვს. პირველ რიგში უნდა გამოცხადდეს ფორს-მაჟორული სიტუაცია და უპირობოდ უნდა შეწყდეს ერთადერთი საცხოვრებელი სახლიდან ადამიანების გამოსახლება. ქონებაწართმეულ ადამიანებს უნდა მიეცეთ გამოსყიდვის საშუალება. მსესხებლებს გადახდილი თანხა „ძირში“ უნდა ჩაეთვალოთ, ხოლო დანარჩენი თანხა გარკვეულ პერიოდზე უნდა გადანაწილდეს. პარალელურად, უნდა შეიქმნას სახელმწიფო ფონდი ან ბანკი, რომელიც მაგრამ არა იმ ასტრონომიული პროცენტებით და ზემოგებებით, რაც დღესაა. მოგეხსენებათ, ჩვენ შევიტანეთ პარლამენტში კანონპროექტი ერთადერთი საცხოვრებლიდან ადამიანების გამოსახლების აკრძალვის შესახებ და სამი წელი თაროზე იდო. მერე პატრიოტთა ალიანსს გადავეცი, რომელმაც სამი თვის წინ ჯანდაცვის კომიტეტზე გაიტანა. კომიტეტის თავმჯდომა-




ბიზნესის ჩართულობით, გრძელვადიან კრედიტებს გასცემს, შექმნის სამუშაო ადგილებს და მსესხებელს გადახდისუნარიანს გახდის. მარტო ამ თვეში, თბილისში 6 სხვადასხვა უბანზე ერთდროული გამოსახლება მოხდა. დღეში თითო მოსამართლეს 7–8 გამოსახლების გადაწყვეტილება გამოაქვს. ასეთ კატასტროფულ მდგომარეობაში, როცა ხედავ, რომ ერი ნადგურდება, დუმილი დანაშაულია. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ მარტო გამოსახლების შეჩერება საკმარისი არაა, რადგან რეალურად, არსებული ვალდებულებები უნდა შესრულდეს, რისგან წამოვიდა ინიციატივა შექმნილიყო უწყებათა შორისი კომისია და დაწყებულიყო კანონპროექტზე მუშაობა დაჩქარებული ტემპით, მაგრამ არც დაჩქარებულად დაწყებულა და არც შენელებულად. ადამიანების გამოსახლების პროცესი კი დაუსრულებლად გრძელდება და კიდევ გვიკვირს ხალხი ქვეყნიდან რატომ გარბის..

**– უკვე გამოსახლებული ადამიანების ადგილსამყოფელის შესახებ თუ გაქვთ ინფორმაცია?**

– რა თქმა უნდა, მაქვს და ეს ჩემი ყველაზე დიდი ტკივილია. გამოსახლებული ოჯახების 90% ინგრევა. ზოგან ცოლი მშობლებთან მიდის, ზოგი ბებიაბაბუას ეკედლება, უმეტესობა კი საცხოვრებლად საზღვარგარეთ მიდის. წარმოიდგინეთ, მარტო 2014–2015 წლებში, 1900 ოჯახი გამოასახლეს (პარალელურად, გამოსახლებას სააღსრულებო პოლიცია ახორციელებდა) ამჟამად, 330 000 პრობლემური იპოთეკა გვაქვს და ინტენსიური გამოსახლებები მიმდინარეობს. ამ ვითარებაში რომელი დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ერის გამრავლებაზე ვსაუბრობთ? პოლიტიკურ ელიტას თუ დავუჯერებთ, დამოუკიდებლობა იმას ქვია, რომ ენერგოსისტემა უცხოელებს მივყიდეთ, საბაჟოზე უცხოელი დავაყენეთ, ქვეყნის რესურსებს და შიდა ბაზარს მთლიანად უცხოელები მართავენ და ეკონომიკის რეფორმირება უცხოელს მივანდეთ ანუ ყველაფერი უცხოელების ხელშია. ახლა უცხოელი სტუდენტების დაფინანსებაზე ლაპარაკობენ, როცა ათიათასობით ქართველ სტუდენტს სწავლის ფულის გადაუხდელობის გამო, სტატუსი შეჩერებული აქვს. მე ისიც მიზანმიმართული მგონია, რომ წარმოების ამუშავება არ ხდება. ქვეყანა ისეთ პოლიტიკაში შეათრიეს, რომ მარადიულად უცხოური ორგანიზაციების დახმარებებზე და იმპორტზე დამოკიდებული ვიყოთ.

უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, სწორი პოლიტიკით ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელია და ჩვენ უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება ამის გაკეთება დაიწყოს..

ნელი თორდია
571 35 36 88

**P.S. ქალბატონ მამისას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონზე: 599 51-82-25.**

# ჭინჭიპარია ჭიჭიკიებს და ბიჭიკიებს რომ ექებთ, ექებეთ ქართველი დონ კორლეონეები!

შსს-ს ინფორმაციით, სისხლის „სამართლის კოდექსში“ და „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ კანონში წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს სასჯელის გამკაცრებას „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „კანონიერი ქურდობისთვის“ და აფართოვებს სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედების წრეს.

ვის ერქვა „კანონიერი ქურდი“ და რას წარმოადგენს დღეს ე.წ „კანონიერი ქურდი“, ხომ არ ვდგავართ იმ ფაქტის წინაშე, რომ „კანონიერი ქურდისგან“, ფაქტობრივად, აღარაფერი დარჩა გარდა სახელისა.



დაახლოებით 13-15 წლის უკან ცხონებულ რომან გვენცაძესთან ნარიყალაზე სწორად ამ თემაზე სასაუბროდ მივედი.

– „კანონიერი ქურდები“ – კი, იყო დაუწერელი კანონები, რომელზე ლაპარაკიც შორს წაგვიყვანს, მაგრამ მოდი, ასე ვიტყვი, მათ ადრე ბნელი ცხოვრება ჰქონდათ, დღეს იქაც შევიდა „ცივილიზაცია,“ კარგი ცხოვრების უფლება მისცეს საკუთარ თავს. ეს იმის საწინდარია, რომ დროთა განმავლობაში „კანონიერი ქურდები“ გაქრებიან. კი, იყო „კანონიერი ქურდის“ ასე ვთქვათ, სახელმწიფოს მიერვე ხელოვნურად შექმნილი ინსტიტუტი, მაგრამ მოჭამა თავისი დრო. „ქურდული იდეა იდეაში იდეად დარჩა, მაგრამ ის, რაც კლასიკური გაგებით „ქურდია“ ქმედებითა და ცხოვრების ნირით, გადასხვაფერდა. თუ „კანონიერ ქურდებზე“ დაიწყება საუბარი, „მაფიოზებზე“ დაიწყონ...

რაღა დროს დაუწერელი ქურდული კანონებია, თავისით მინავლდება... დღეს, როცა ხალხი მშიერია და წირვაზე გადაჭედილია ეკლესიები, ეს იმედს მაძლევს, რომ მოვა დრო, როცა ადამიანი არც „ძველ ბიჭთან“ მივა საქმის გასარჩევად და არც პოლიციელთან, ეკლესიაში მივა“.

დიახ, გადასხვაფერდა ბევრი რამ კრიმინალურ სამყაროში. მაგალითად, გასულ საუკუნეში, როდესაც მიზანმიმართულად შეიქმნა „კანონიერი ქურდის ინსტიტუტი“, თავდაპირველად, უამრავი შემთხვევები იყო მოკვლა-დასახიჩრებებისა როგორც სასჯელაღსრულების თანამშრომლებისა, ისე მსჯავრდებულებისა. „ქურდული გაგების“ მსჯავრდებული არ იმაგრებდა მკერდზე ე.წ „ბირკას“ რომელიც მის ვინაობაზე მიუთითებდა. დასასრული რომ არ უჩანდა სისხლიან დაპირისპირებას, ე.წ „შავებმა“ იმსჯელეს: „რას ვეკვლევინებით? „ძაღლმა“ რომ გვკითხოს ვინაობა, ხომ ვუპასუხებთ, ჰოდა, გავიკეთოთ ის „ბირკა“, ერთი ამათი კარგიცო“ და გადაიჭრა პრობლემა.

საპირისპირო მხარეს – „ჩიფირის“ გამო, განსაკუთრებით ციმბირის „ლაგერებში“ ხშირად ხდებოდა პატიმრების მხრიდან „ლაგერის“ მომსახურე პერსონალის მოკვლა-დასახიჩრება. ამ მხარემაც იმსჯელა და გადაწყვიტა: „ბოლო-ბოლო „ჩეფირი“ მაგარი დაყენებული ჩაია, სხვა ხომ არაფერი. ჰოდა სვან, რას ვეკვლევინებით, თავში ქვა უხლიათო“ და პრობლემა მოიხსნა.

ეს ორი მაგალითი მხოლოდ იმის თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანეთ, რომ „ძველი ქურდული გაგება“ ანუ ის, რასაც „კანონიერი ქურდი“ ჰქვია, დროთა განმავლობაში, შეიცვალა გადაკეთდა.

„კანონიერი ქურდი“ ერთგვარ ჩარჩოში ცხოვრობდა და „მოღვაწეობდა“ რის გამოც არა ერთ ცხოვრებისეულ სიამეს იყოს გარიდებული. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ? ისიც საკმარისია სათქმელად, რომ ქურდს არ ჰქონდა უფლება ოფიციალურ ქორწინებაში ყოფილიყო; არ ჰქონდა დაგროვილი უძრავ-მოძრავი ქონება; არ იყო წამალდამოკიდებული; არ იყო მკვლელი; ბოლოს და ბოლოს, არ ერეოდა პოლიტიკაში და ა.შ

ცხონებული ყოფილი შს მინისტრისა არ იყოს, „კანონიერი ქურდის“ ცნება მკვდარია! თავდაპირველად „ქურდული იდეით“ შეპყრობილი ადამიანები იქცნენ უხვშემოსავლიან ბიზნესებში ჩაფლულ ადამიანებად რომელთაც კრიმინალურ სამყაროსთან ურთიერთობაში გარანტირებულად პრივილეგირებული მდგომარეობა აქვთ მოპოვებული.



სხვათაშორის, აბსოლუტურად მსგავსი ცხოვრებით ცხოვრობენ პირები, რომლებიც შესაძლოა, სრულებით არ იყვნენ „კანონიერი ქურდები“, მაგრამ როგორც ვხედავთ, საკანონმდებლო ინიციატივა არაფერს ამბობს მათზე, არადა, ორივენი ერთ საქმიანობას ეწევიან, მაფიოზობენ...

რა გამოდის, სასჯელი მკაცრდება იმ დრომოჭმულ იდეაზე რომელსაც ტვინი გამოიმუშავებს? მსგავსი წარმატებით აბსოლუტურად უყოყმანოდ შეგვიძლია მივიღოთ ახალი ინიციატივები ე.წ „სხვაგვარად მოაზროვნეების“ მიმართაც, მითუმეტეს, რომ აპრობირებულია ამგვარი ადამიანების შეურაცხადად გამოცხადება, უბედური შემთხვევა და სხვა მრავალი.

ვიღაცამ შემოაგდო და აიტაცეს რომ თურმე „ქურდული მენტალიტეტის“ გავლენით იმატა კრიმინალმა მოზარდებში. რა თქმა უნდა, აბა, იმ კოჰაბიტირებულ სივრცეში იმას ვინ იტყვის რომ კრიმინალი მოზარდებში შვა იმ საშინელმა რეალობებმა, რომელიც მოზარდს იმ ცხოვრების მცირე მონაკვეთში შეუქმნა თვითონ არასწორად მართულმა სახელმწიფომ.

ცნება „კანონიერ ქურდს“ ვინც უკავშირებს მოზარდთა აგრესიას, ნეტავ, მას თუ ჰყავს ნანახი ცოცხალი ქურდი? „კანონიერი ქურდი“ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა იმას, რომ მის უბანში, მის საახლობლოში, მის სიახლოვეს ასეთი სისხლისმიერი გამეტება მომხდარიყო. ვის არ უნდა იმის აღიარება, რომ მოზარდების ნაწილი თავისდაუნებურად იმართება იმ ფსევდო-სამყაროსგან რომელსაც არანაირი შეხება არ აქვს არანაირ იდეასთან, მითუმეტეს, „ქურდულთან“?

მოზარდი რომ მოზარდია, მხოლოდ მაშინ ახსენდებათ მავანთ, როცა მოზარდი უკვე ეჭვმიტანილია მძიმე დანაშაულში, ვთქვათ, მკვლელობაში ან განზრახ მკვლელობის მცდელობაში. არავის უნდა გახსენება და აღიარება, რამ გააღვიძა რომელიმე მოზარდში მკვლელად გახდომისკენ სწრაფვა, როგორც გავლენის სფეროების მოპოვების საშუალებისკენ მიმავალი გზა.

არც იმის დანახვა უნდა მავანს, რომ მოზარდი ხედავს რა უსამართლობაა მის გვერდზე და მისივე თანდასწრებით; როგორაა გალაღებული შერჩევითი სამართალი; (როცა მკვლელობის მონაწილე 15-20 პირია და მხოლოდ 2 აღმოჩნდება დამნაშავე, რაღაზეა საუბარი...) რამდენად არაფრის მომცემია სიმართლე და მისი მოძიება და ის თვითონ იწყებს სამართალისა და სამართლიანობის ძიებას... და არა მხოლოდ მოზარდი...

როცა ადამიანმა გადაწყვეტილად იცის რომ კანონი არ კანონობს ყველასთვის და არ აღსრულდება სამართალი და სამართლიანობა, ვიღაცას მიაკითხავს დასახმარებლად; ასეთი თუ არავინ ეგულება, თვითონ აღასრულებს და ასეც ხდება, ვინ ვის კლავს,



მხოლოდ ერთეულებმა იციან და ისინიც საეჭვოდ ჩუმად არიან...

რომელი მკვლელობის საქმე გაიხსნა, უთხარით ხალხს, ნუ დაუმალავთ!

გადავხედოთ ჩვენივე წარსულს – როდის იწყება კრიმინალური სიტუაციის გააქტიურება?

როდესაც ხელისუფლებაში მყოფი პირები მასიურად იწყებენ პარვას.

დიახ, მოპარვაა სახელმწიფო ბიუჯეტიდან საკუთარ ჯიბეში ფულის გადანაცვლებაც და სახელმწიფოს გამუდმებული წველაც დაუმსახურებელი პრემიებისა თუ დანამატების მიღების სახით. ასევე, მსხვილი ტენდერების მოგება იქნება თუ სხვა საქმეების „გაიმასქნება“. ამ ყველაფერს რომ ხედავს ვიღაც, აბსოლუტურად ლეგიტიმური სურვილი უჩნდება რომ მანაც ნახოს სარგებელი და უკვე „ქურდის ქურდი ცხონდაო“ კი არ ხდება, პირდაპირ ეუბნება რომ მასაც ეკუთვნის წილი, არ აქვს მნიშვნელობა „სახელისუფლებო ვირთხაა“ თუ ამ სახის „ვირთხის“ ბიზნესის მწარმოებელი. „ვირთხამ“ თავის მხრივ ხომ იცის რომ მოპარული აქვს, თანაც კიდევ აქვს მოსაპარი, ეგულება ბლომად და მისცემს, აბა, რას იზამს, ყვირილს ხომ არ დაიწყებს, მე რომ შენ მოგპარე ჩემი ძვირფასო სახელმწიფოვ, იმ ფულს მთხოვს ვიღაც გარეწარიო?

ასეა, ყოველთვის კავშირშია ერთმანეთთან „დიდი ფულები“ და კრიმინალი, კავშირში კი არა, უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეუძლიათ – რაღა დროს „ქურდული გაგებაა“?

სახელმწიფოში გამეფებული უწესრიგობა ბადებს ყველანაირ კრიმინალს და როდის, რა სახით იჩენს თავს გარემოებაზეღაა დამოკიდებული.

არჩევნების დროს რომ უბნის რომელიმე კანდიდატისთვის ხმების მოსაგროვებლად უბნის „ძველი ბიჭი“ იქნება დასახმარებელი ან ქექვაატეხილი კაიფარიკი მოსასყიდი „წამლით“, „კანონიერი ქურდის“ ხსენებაზე სასჯელის გამკაცრებაზე გაგახსენდება რაღაცეები, აბა, რა იქნება...

განიმარტოს ტერმინი „მაფია“ და „მაფიოზი“ და სწორი მიმართულება მიეცით კანონს, რატომ არის შეუძლებელი სიმართლის თქმა პირდაპირ და ხმამაღლა?

სხვათაშორის, წლების წინ მითხრა რესპონდენტმა, ამათ თუ ასე გააჭირეს მართლა საქმე, დაჯდებიან „ბიჭები“ და მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომ თუ „ძაღლი“ ჰკითხავს არის თუ არა „ქურდი“, იტყვის რომ არ არის და ეს „არაქურდულად“ აღარ ჩაითვლებაო... მაშინ „ბირკის“ ამბავი გამახსენდა და ახლა ორივე ერთად.

ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების წევრები (მაფია და მაფიოზები), როგორც აღვნიშნეთ, სრულებით არ არის აუცილებელი რომ საბჭოთა დროის ხელოვნურად შექმნილი „კანონიერი ქურდის“ ტიტულის მატარებლები იყვნენ. ერთიც და შემობრუნდნენ ეს „პატივცემული ტიტულიანებიც“ და განაცხადიონ, არ ვართ, ბატონო, „კანონიერი ქურდებიო“, მერე რა ვუყოთ ამ ახალ საკანონმდებლო ინიციატივას?

თუ გინდათ ქვეყანაში წესრიგი დამყარდეს, ეძებეტ დონ კორლეონეები, ქართველი დონ კორლეონეები – „კანონიერ ქურდებსაც“ ისინი ნიშნავენ, მინისტრებსაც ისინი ნიშნავენ და, საერთოდ, ყველას და ყველაფერს, ისინი მართავენ...

**გიორგი ჩხეიძე**



# „არა იმიტომ, რომ სიტყვა „ქურდმა“ უარყოფითი დატვირთვა დაკარგა ქლერა“

ხელისუფლებამ დაუნდობელი ბრძოლა რომ გამოუცხადა ქურდულ სამყაროს და ამ მიმართულებით კანონმდებლობა კიდევ უფრო გამკაცრდება, ნამდვილად მისასალმებელია, მაგრამ ის უფრო გვაინტერესებს, როდის მოსთხოვენ პასუხს რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო გზებით გამდიდრებულ პერსონებს, რომლებსაც დღესაც წარმატებულ ბიზნესმენებად და ბანკირებად მოიხსენებენ. საეჭვოა, ე.წ. კანონიერ ქურდებს ამ „კონტიგენტზე“ მეტი ზიანი მიეყენებინათ საქართველოსთვის. პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძეს, რომელიც ჩამოყალიბების დღიდან „ნაციონალურ წმენდამდე“ მუშაობდა შსს-ს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურში, არაერთხელ უთქვამს ჩვენთან ინტერვიუში, რომ ხელისუფლებამ, კერძოდ, სამართალდამცავმა





სტრუქტურებმა იმ ჰალსტუხიანი ყაჩაღების გამოვლენა-დასჯაზე უნდა იმუშაოს, რომლებსაც წლების განმავლობაში მილიონობით თანხა აქვთ მითვისებული.

**დავით გაგნიძე:** „ახლახანს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელმა განცხადება გააკეთა, ხაშურში მომხდარი ყაჩაღობა გავხსენითო. რიგითი დანაშაულობების გახსნა ნამდვილად არ არის ამ სამსახურის საქმე, მათ გაცილებით სერიოზულ, სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეებზე უნდა იმუშაონ, სისტემატურ რეჟიმში უნდა აგროვებედნენ და ოპერატიულად ამუშავებდნენ ინფორმაციებს რა ხდებოდა და ხდება ქვეყნის მასშტაბით. ამ სამსახურმა შეიძლება წელიწადში ერთი დანაშაული გახსნას, მაგრამ იმდენად სერიოზული იყოს, რომ სხვა ყველაფერი გადაწონოს. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ვგულისხმობ შევარდნაძის მმართველობის პერიოდს, ათეულობით მილიარდი დოლარია მითვისებული და საზღვარგრეთ გატანილი. ამ პროცესმა „პიკს“ ნაციონალების მმართველობისას მიაღწია. ათი მილიონი თუ მაინც დავაბრუნეთ? ყოველ შემთხვევაში მე ამის შესახებ არაფერი მსმენია. მაშ რას აკეთებენ შსს და უსაფრთხოების დაცვის სტრუქტურა, გამოდის საერთოდ ვერ ფლობენ ვითარებას. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური ზუსტად იმ მიზნით შეიქმნა 1991 წელს, რომ მსხვილ, სახელმწიფო მნიშვნელობის დანაშაულობებზე ემუშავა. სისხლის სამართლის სამძებროში არსებული ბანდიტიზმთან ბრძოლის განყოფილება ცალკე გამოყვეს, უფლებამოსილებები გაუფართოვეს და ცალკე სამსახურად ჩამოაყალიბეს, რომელიც საზოგადოებაში „მეექვსე განყოფილების“ სახელით იყო ცნობილი. „მეექვსე განყოფილებას“ თავიდან გამოცდილი პროფესიონალი ნოდარ წკრიალაშვილი ხელმძღვანელობდა, რომელიც ჩვენგან ყოველთვის მოითხოვდა, რომ ძირითადად იმ კატეგორიის დანაშაულზე გვემუშავა, რომელიც



გახშირდებოდა, იქნებოდა ეს ადამიანის გატაცება, გამოძალვა თუ სხვა. პარალელურად, ყველაფერზე უნდა შეგვეგროვებინა ოპერატიული ინფორმაციები. თბილისის პროკურორის მიხეილ ქურდაძის მკვლელობის გახსნაზე როცა ვმუშაობდით, სხვა 38 დანაშაულიც გავხსენით. ბოლოს პარლამენტს მივადექით, უამრავი ინფორმაცია დაგვიგროვდა, ოფიციალური მოვალეობის შესრულების გარდა, რა „საქმიანობით“ იყვნენ დაკავებული ხალხის „რჩეულნი“. სწორედ იმ პერიოდიდან დაიწყეს ჩვენი სამსახურის დაკნინება. „მხედრიონის“ ალაგმვის შემდეგ დაიწყო ჩვენს სამსახურზე „გადამწყვეტი შეტევა“, რადგან „რაფინირებულ“ პოლიტელიტას არ აწყობდა მათი შავბნელი საქმიანობის გამოაშკარავება. ეს ხალხი მაშინაც ჭამდა და დღესაც ჭამს, შეიძლება ზოგიერთი მათგანი სახელმწიფო სამსახურში აღარ იყოს, მაგრამ მსხვილი ბიზნესი მათ ხელშია. სამაგიეროდ მოსახლეობის უმეტესობაა შიმშილის ზღვარზე და ლუკმა-პურის საშოვნელად ქვეყნიდან გარბის. პერსონიფიცირებას ნუ მომთხოვთ, რადგან თქვენც კარგად იცით ვისაც ვგულისხმობ. ისე, მათგან რა უნდა გამიკვირდეს, როცა შიგნით, უწყებაში გვყავდა მოწინააღმდეგეები, რომლებიც „მეექვსე განყოფილების“ გაუქმებაზე ოცნებობდნენ. არც მათ აწყობდათ ძლიერი კონკურენტი, რადგან 90-იანი წლების არეულობის დროს, ბევრი სამართალდამცავი თვითონ გახდა კრიმინალი და მოღალატე. შეიარაღებულმა ბანდებმა და საძმოებმა ძალოვან სტრუქტურებში თავისი ხალხი რომ „ჩანერგეს“, მათი ნაწილი მერეც დარჩნენ სამართალდამცავ სისტემაში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხომ მთლიანად ამ კატეგორიის კონტიგენტი მოვიდა თანამდებობებზე. უბედურება ისაა, რომ დღემდე არ გაწმენდილა შსს და უსაფრთხოების სტრუქტურები საეჭვო წარმომავლობის, უცოდინარი კადრებისგან, აქედან გამომდინარე, არ უნდა გაგვიკვირდეს, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, მერწმუნეთ, ესენი ყოფილი თანაგუნდელების საეჭვო საქმიანობის გამოძიებით თავს არ შეიწუხებენ“.

ყბადაღებული ოფშორული ზონების და კომპანიების „მოღვაწეობა“, გუშინ და დღეს არ დაწყებულა. ხსენებული კომპანიების შექმნა 70-იანი წლებიდან დაიწყო, ანუ იმ პერიოდიდან, როცა საბჭოთა კავშირის დაშლა, საზოგადოებისთვის ფანტაზიის სფეროს წარმოადგენდა. 90-იანი წლებიდან, უკვე ძალზე აქტიურად ჩანს „ოფშორელთა“ გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ეკონომიკაზე. საკავშირო პარტნომენკლატურა და „კაგებე“ მარტო ფულს კი არ დებდა ხსენებულ კომპანია-ზონებში, მათ „კაგებეს“ კადრებითაც „ამარაგებდნენ“. 80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირიდან გაზიდულმა ფულმა, მრავალი ათეული მილიონი დოლარი შეადგინა, რომელიც მოგვიანებით პოსტსაბჭოთა სივრცეში შემობრუნდა იმ პოლიტიკური ჯგუფების ინტერესების გასატარებლად, რომელთა ბირთვსაც „კაგებეშნიკები“ შეადგენდნენ. უფრო მეტიც, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკის განადგურების ხარჯზე, ეს ფინანსები სულ უფრო მატულობდა. რაც შეეხება ქართველების უმთავრეს „სტრატეგიულ პარტნიორ“ ამერიკას, მისი პოლიტელიტა ამ პროცესს მშვიდად ადევნებდა თვალს. ამიტომაც ჩნდება სერიოზული ეჭვი, რომ ამერიკისა და საბჭოთა კავშირის



ხელმძღვანელობებს შორის, თავის დროზე გარიგება მოხდა. ზემოთ ნაუცბათევად საეჭვოდ გამდიდრებულნი ვახსენეთ, სწორედ ამ „კაგებეშნიკური“ ჯგუფების მიერ ყოფილან ისინი „დანიშნული“ მილიონერებად, როგორც საქართველოში, ისე მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ისინი „პატრონს“ თუ განუდგებიან და დამოუკიდებელ პოლიტიკურ თამაშს წამოიწყებენ, შეიძლება მარტო ქონება და გავლენა კი არა, სიცოცხლეც დაკარგონ. ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ, რომ რეალურად სპეცსამსახურების აგენტურა მართავდა და სამწუხაროდ, დღესაც მართავს საქართველოს, ვფიქრობთ, აშკარაა. თუკი რაიმე ეროვნულის, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმის გაკეთება მოისურვა „ქართულმა ოცნებამ“, უნისონში აწიოკდებიან ხოლმე ნაციონალები, მათი სატელიტი პარტიები და ე.წ. უფლებადამცველები და აპოკალიფსის დადგომას „წინასწარმეტყველებენ“. ვფიქრობთ, ეს არც არის გასაკვირი, „კაგებეს“ აბსოლუტურად ყველა სფეროში ჰყოლია „ჩანერგილი“ ე.წ. ოდეერი თუ აგენტი და საქმე იქამდე მისულა, რომ ტრადიციული „ჩამშვებების“ ოჯახები ჩამოყალიბებულა. გადავავლოთ თვალი ზემოხსენებული სექტის ქმედებებს, ადრე მათი იდეური თუ ბიოლოგიური წინაპრები თუ კრემლში დარბოდნენ ქართველების დასაბეზღებლად, ახლა ვაშინგტონსა და ევროპაში დარბიან, რასაც „კეთილშობილური“ ზრახვებით ფუთავენ, დემოკრატიას და ადამიანის უფლებებს ვიცავთო. მოგეხსენებათ, პუტჩის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსული ტრიუმვირატიდან ერთი ე.წ. კანონიერი ქურდი იყო. სწორედ ჯაბა იოსელიანის „დამსახურებაა“ შევარდნაძის „მეორედ მოსვლა“. კარგად ინფორმირებული წყაროებს თუ დავუჯერებთ, „კანონიერ ქურდები“ სინამდვილეში „კაგებეს“ მიერ დამნაშავეთა სამყაროში „ჩანერგილი“ იგივე

„ოდეერები“ იყვნენ, რომელთა მეშვეობითაც აკონტროლებდნენ კრიმინალებსო. 1992 წლიდან ჯაბა იოსელიანთან ერთად, ზემოხსენებული ხალხის შთამომავლებიც მოვიდნენ თანამდებობებზე. ამ პერიოდიდან დაიწყო საქართველოს საბოლოოდ გამოხვრის პროცესი, რაც უფრო აქტიურად გაგრძელდა ნაციონალების მმართველობის პერიოდში. სააკაშვილის წარმატებული კარიერის გასაღები რომ ბიძამისის „კაგებეშნიკურ“ ბიოგრაფიაში დევს ეს ერთია, მაგრამ ჩვენი „ნიჭიერი“ მესამე პრეზიდენტის სწავლა-განათლების დონის „ამაღლებაში“, თურმე „შავ სამყაროსაც“ მიუძღვის გარკვეული წვლილი. კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტიდან „დისიდენტობისთვის“ გარიცხული მიშას ცოდნის მისაღებად ოკეანისგაღმა მივლინება, ჯაბა იოსელიანს დაუფინანსებია. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ უნდა დაეფინანსებინა „კანონიერ ქურდს“ „კაგებეშნიკის“ დისწულის სწავლა-განათლება, თუ მართლაც ურთიერთკავშირში არ იყო „შავი სამყარო“ და საბჭოური სპეცსამსახური?

ახლა რაც შეეხება არასამთავრობო სექტორში დაფრთიანებული და შემდეგ მაღალ თანამდებობებზე წამოსკუპებულ სხვა პერსონებს, ამ კონტიგენტის „განსწავლულობა“ რომ დასავლური განათლების მიღების შემდეგაც ეჭვს იწვევს, გვერწმუნეთ, მარტო ჩვენ არ ვამბობთ. მაშ ვინ იყო ამდენი სწავლას „მოწყურებულის“ სპონსორი, შემთხვევით, კრიმინალებთან ალიანსში მყოფი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები ხომ არა, რომლებსაც ახლა ვალს უხდიან თავიანთი რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო პოლიტიკით?

„კაგებეს“ პროტეჟეებმა ჩალის ფასად გადაცემული ხალხის კუთვნილი ქონება, მათ შორის მოსახლეობის მიერ საბჭოთა პერიოდში ბანკებში შეტანილი ანაბრები არ იკმარეს და დამოუკიდებელი ქვეყნის „ეგიდით“, მოტყუებით რამდენჯერმე გააძვრეს ხალხს ტყავი. უბედურება ისაა, რომ ჯერაც ვერ მოვიცალეთ 90-იანი წლების, საქართველოსთვის უმძიმესი პერიოდის ბოლომდე გამოსაკვლევად და შესაფასებლად. კრიმინალის ბოლომდე მოსპობა შეუძლებელია, დანაშაული ყოველთვის ხდებოდა და კვლავაც მოხდება, პოლიცია ამ საქმეს როგორმე მიხედავს, მთავარია, „ელიტურ“ კრიმინალებს მოეთხოვოთ



პასუხი, რომლებიც 25 წელზე მეტია ქვეყანას აჩანაგებენ.

არის კიდევ ერთი კატეგორია კრიმინალებისა, რომლებსაც „ბეზპრედელშჩიკები“ ჰქვია. „ბესპრედელშჩიკები“, ეს არის უცხო ქვეყნების ხელდასმით ჩამოყალიბებული ორგანიზებულდანაშაულებრივი საზოგადოება, რომელიც წყვეტს ვინ „კანონიერი ქურდი“ უნდა გახდეს, ვინ ბიზნესმენი, ვინ პოლიციელი და ა.შ. მათ საბოლოოდ ერთი მიზანი აერთიანებთ, როგორმე ხელისუფლების სათავეში მოვიდეს მათი ე.წ. საზოგადოება და კანონზე მაღლა დადგეს. კომპეტენტური წყაროს განცხადებით, „კანონიერ ქურდებს“ თავისი ნებით არ დაუტოვებიათ გავლენა-პრივილეგიები, „პატრონების“ ბრძანებით მოხდა. ეს ე.წ. საძმოები განაგებდნენ ქვეყანას შევარდნაძის მმართველობისას, წარმოიდგინეთ, ჯაბა იოსელიანიც კი დაიჭირეს და რამდენიმე წელი გაატარა ციხეში, „ვერის საძმოს“ კი არავინ შეხებია. ნიკა რურუა საერთოდაც ამერიკაში გაუშვეს „სასწავლებლად“ და „ვარდების რევოლუციის“ გარიჟრაჟზე ზურაბ ჟვანიამ ჩამოიყვანა, როგორც „სანდო“ და „საჭირო“ კადრი. ნაციონალების მმართველობისას ამ „სანდო“ კადრს მაღალი თანამდებობებიც ეკავა, რეალურად ეგ მართავდა ქვეყანას, არ გახსოვთ, პრეზიდენტი სააკაშვილი ანგარიშს როგორ აბარებდა ქვეყანაში რა გაკეთდაო, აცხადებდა ჩვენთან ინტერვიუში დავით გაგნიძე. ძველი „მხედრიონელები“ ალბათ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მათი თანაგუნდელი, როგორც „დიდი“ ბიზნესმენი, ხელს ჩამოართმევდა აწ ამერიკის პრეზიდენტ, მილიარდერ დონალდ ტრამპს. რა შეიცვალა ნაციონალების ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, ფაქტობრივად არაფერი – ის ხალხი, რომელმაც პირწმინდად გააჩანაგა საქართველო, დღესაც სერიოზულ ფიგურებად ითვლებიან, ზოგი პარლამენტიდან გვმოძღვრავს, ზოგი ბიზნესსფეროდან. დემურ დვალიშვილის ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის დროს, მილიონობით კი არა მილიარდობით თანხები გაიცემოდა კრედიტების სახით, რასაც რატომღაც სახელმწიფო უდგებოდა გარანტად. არცერთი ეს თანხა, დანიშნულებისამებრ არ გახარჯულა, შედეგად მივიღეთ ქართველ მდიდართა კასტა და გაღატაკებული საქართველო, ხოლო დემურ დვალიშვილმა თავი მოიკლა.

ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებიც აქტიურად რომ იყვნენ ჩართული ე.წ. კრედიტომანიაში, „საერთო გაზეთი“ პოლიციის ყოფილ მაღალჩინოსნებზე დაყრდნობით, ადრეც წერდა. ზურაბ ჟვანია მაშინ „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი გახლდათ, როცა 102-მილიონიანი კრედიტი გაიტანა. როგორც კი დაასრულეს „ამა ქვეყნის ძლიერთ“ კრედიტების გატანა, ქვეყანა ისეთმა ჰიპერინფლაციის ტალღამ გადაუარა, რომ ერთ მილლიონ კუპონად ერთ პურს თუ იყიდდი. „პატიოსანმა“ მსესხებელმა ჟვანიამ ვალი კი დააბრუნა, მაგრამ ეს თანხა 200 აშშ დოლლარს თუ უტოლდებოდაო. ამ ყველაფრის შემდეგ ბატონი ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარედ მოგვევლინა, მისი მარჯვენა ხელი გია ბარამიძე და ჰიპერინფლაციის ერთ-ერთი „შემოქმედი“ რომან გოცირიძე, დღესაც პარლამენტში გვიზის და ჭკუას გვარიგებენ. პოლიციის ერთ-ერთმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა, რომელსაც იმ პერიოდში ძალზე სერიოზული თანამდებობა ეკავა, წლების შემდეგ მომიყვა, იმ პერიოდში რუსეთთან კარგი სამსახურებრივი ურთიერთობა გვქონდა. მოსკოვიდან დაგვიკავშირდნენ, რა ხდება, ჩვენს ბანკებში საქართველოდან ათეულობით მილიონობით ირიცხება ფული, რომლის მისაღებადაც ძირითადად, მსუბუქი ყოფაქცევის მანდილოსნები ცხადდებიანო. მაშინ გავიგეთ ქართველმა სამართალდამცავებმა სადაც წავიდა იმ კრედიტების დიდი ნაწილი, რომელმაც საქართველოს ხაზინა გამოაცარიელა.



**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

## უცხოეთში თავშესაფრის მაძიებელთა საყურადღებოდ

**საქართველოს მოქალაქემ, რომელიც ევროკავშირის ტერიტორიაზე თავშესაფარს ეძებს, უნდა იცოდეს, რომ მისი განაცხადის დაკმაყოფილების შანსი ყოველ 2 ათას ადამიანზე 80-ში მოხვედრის ტოლფასია, – ამის შესახებ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის სპეციალისტი, უშიშროების საბჭოს მდივნის ყოფილი მოადგილე ლევან ბოძაშვილი აცხადებს.**

**ბოძაშვილის განმარტებით, ეს შანსი კიდევ უფრო მცირდება იმ ქვეყნებში, სადაც საქართველო უსაფრთხო ქვეყნად არის მიჩნეული.**

**„2017 წლის განმავლობაში თავშესაფრის მოთხოვნით ევროკავშირს 147 ქვეყნის 1.2 მილიონმა ადამიანმა მიმართა. მათგან ყველაზე მეტი სირიაზე, ერაყზე და ავღანეთზე მოდის.**

**ევროკავშირის ქვეყნებში 2017 წლის ბოლო 2 კვარტალში 202 700 პირველი ინსტაციის სასამართლო გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. აქედან თავშესაფრის აპლიკაციების 46% დაკმაყოფილდა. აქედან ყველაზე მეტი გერმანიაზე (90 900), საფრაგეთზე (30 500), იტალიაზე (18400), შვედეთზე (15 500), ავსტრიაზე (14700) და საბერძნეთზე (6900) მოდის.**




**დაკმაყოფილებულ აპლიკაციათა სტატისტიკა სხვა ქვეყნებიდან მიმართვებზე ყოველი 2000 განაცხადიდან ასეთია: მაკედონია – 2%, სერბეთი – 3%, საქართველო – 4%, ალჟირი – 8%.**

**ეს ნიშნავს, რომ თუ ამ მიზნით მიდის ადამიანი, მანდ უნდა იცოდეს, რომ მისი განაცხადის დაკმაყოფილების შანსი ყოველ 2 ათას ადამიანზე 80-ში მოხვედრის ტოლფასია. ხოლო ეს შანსი კიდევ უფრო მცირდება იმ ქვეყნებში, სადაც საქართველო უსაფრთხო ქვეყნად არის მიჩნეული.**

**INTERPRESSNEWS.GE**

## „112“ ახალი, უფრო სწრაფი და ზუსტი შიდასაკომუნიკაციო პროგრამით ისარგებლებს

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში, ინფორმაციის გადაცემის სისწრაფის უზრუნველსაყოფად, შიდა საკომუნიკაციო პროგრამა დაინერგა. აღნიშნული პროგრამით 112-ში შესული შეტყობინებები სასწრაფო დახმარების ბრიგადების და პატრულ-ინსპექტორების პორტატულ კომპიუტერებში მყისიერად აისახება.**



**ახალი პროექტი შინაგან საქმეთა მინისტრმა, გიორგი გახარიამ და თბილისის მერმა, კახა კალაძემ, ევროპის მოედანზე, დღეს წარადგინეს.**

**112-ის შიდა საკომუნიკაციო პროგრამული უზრუნველყოფა, ინფორმაციის გადაცემის სისწრაფეს, შემდგომი კომუნიკაციის დროის შემცირებას, გამარტივებულ დისპეტჩერიზაციას და ინფორმაციის სიზუსტეს შეუწყობს ხელს. პროგრამის საშუალებით, 112-ში შესული შეტყობინებისთანავე, ოპერატორი შეძლებს, მხოლოდ ელექტრონული კომუნიკაციის გზით, თბილისის სასწრაფო დახმარების ბრიგადებსა და პატრულ-ინსპექტორებს დეტალური ინფორმაცია მყისიერად გადასცეს.**

**პროგრამა, მიმდინარე წლიდან, საპატრულო ეკიპაჟებისა და თბილისის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადების პორტატულ კომპიუტერებში ჩაიწერება. შსს-ს განცხადებით, ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა ცდომილების ალბათობას მინიმუმადე დაიყვანს და მომსახურების ხარისხს გააუმჯობესებს.**

**MEDIANEWS.GE**

# დედაქალაქის ამბები



### თბილისის მერი სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას დაესწრო

თბილისის მერმა კახა კალაძემ კონფერენციაში „თბილისის მომავალი: მდგრადი განვითარება თუ კრიზისი?“ მიიღო მონაწილეობა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა.

დედაქალაქის მერმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ქალაქის მთავრობა არსებული პრობლემების მოგვარების პროცესში სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თანამშრომლობისთვის მზადაა, რადგან ქალაქში მნიშვნელოვანი პროექტები ერთობლივად, რაც შეიძლება მეტი ადამიანის ჩართულობით უნდა განხორციელდეს.

„მჯერა და დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მომდევნო წლების განმავლობაში, ჩვენი დედაქალაქისთვის, რა თქმა უნდა, თქვენი დახმარებითა და ჩართულობით, ძალიან ბევრ სასიკეთო და მნიშვნელოვან პროექტს განვახორციელებთ, რადგან გვინდა, მშენებლობის პროცესში მხოლოდ მერია და მერიის სამსახურები არ იყვნენ ჩართული. როდესაც ჩვენი უფლებამოსილება დასრულდება, ვიტყვით, რომ არა მერმა და მერიამ განახორციელა ეს პროექტები, არამედ ვიტყვით, რომ ეს ყველაფერი ერთად გავაკეთეთ“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა კონფერენციის მონაწილეებს სურვილის შემთხვევაში, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საბოლოო ვარიანტის განხილვის პროცესში ჩართვა შესთავაზა. მისი თქმით, დოკუმენტის მიღების პროცესი აბსოლუტურად გამჭვირვალედ მიმდინარეობს.

სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე თბილისის ურბანული განვითარების საკითხებთან დაკავშირებით, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა იმსჯელეს. საუბარი ქალაქის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობებს შეეხო.

თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ანდრია ბასილაიამ კონფერენციაზე ქალაქის ეკონომიკური განვითარების ხედვის შესახებ პრეზენტაცია წარადგინა. ღონისძიება საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ორგანიზებით გაიმართა.

### თბილისის მერია 180-ადგილიანი მიწისქვეშა პარკინგის მოწყობაზე ინტერესთა გამოხატვას აცხადებს

თბილისის მერია ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა პარკინგის მოწყობაზე, კერძო კომპანიებისთვის ინტერესთა გამოხატვას აცხადებს. ამის შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

„ქალაქში არის 10 ლოკაცია, სადაც შესაძლებელია მიწისქვეშა საპარკინგე ინფრასტრუქტურის მოწყობა. ჩვენ უკვე შევიმუშავეთ ბიზნეს-მოდელი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს პროექტები. ინტერესთა გამოხატვა 60 დღის განმავლობაში გაგრძელდება. ამ პერიოდში კომპანიებს ექნებათ შესაძლებლობა, მიიღონ და შეისწავლონ ყველანაირი დოკუმენტაცია, რომელიც ჩვენ მიერ იქნება წარმოდგენილი ამ კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებით“, – განმარტა თბილისის მერმა.

კახა კალაძის განცხადებით, მიწისქვეშა პარკინგის პროექტის განხორციელებამდე ტექნიკური და ეკონომიკური კვლევები ჩატარდება.

„გადაწყვეტილებები უნდა დაეფუძნოს მტკიცებულებებს, რომელიც გარემოებების შესწავლის შედეგად იქნება მიღებული. კომპანიებმა, პირველ რიგში, უნდა ჩაატარონ ტექნიკური და ეკონომიკური კვლევები. პროექტი განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კვლევების შედეგად, მისი მიზანშეწონილობა დადგინდება“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერის განმარტებით, საპარკინგე ინფრასტრუქტურა 180 ავტომანქანაზე იქნება გათვლილი.

„ინტერესთა გამოხატვის აუცილებელი პირობაა, რომ საპარკინგე ადგილების 5% გათვალისწინებული იყოს ელექტრომობილებისთვის და ამ ადგილებზე სპეციალური დამტენები დამონტაჟდეს. მთლიანობაში, აღნიშნული საპარკინგე ინფრასტრუქტურა გათვლილი უნდა იყოს მინიმუმ 180 ავტომანქანისთვის. პროექტის შესწავლა, ასევე, სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება კერძო ინვესტიციით, რომლის ღირებულებაც 3 მილიონ ლარზე მეტი იქნება და ამისთვის, მუნიციპალიტეტიდან საბიუჯეტო სახსრები არ გამოიყოფა. ეს არის პირველი პროექტი, რომელზეც ინტერესთა გამოხატვას ვაცხადებთ. რა თქმა უნდა, მომდევნო დღეების, კვირებისა და თვეების განმავლობაში, ჩვენ სხვა პროექტებს წარმოვადგენთ, რომელთა განხორციელებასაც ვაპირებთ“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, მიწისქვეშა პარკინგების გარდა, კვლევის შედეგად მიღებული ანალიზის საფუძველზე, დედაქალაქში მიწისზედა პარკინგებიც მოეწყობა.

„ჩვენ არ უნდა ვიყოთ ორიენტირებული მხოლოდ და მხოლოდ მიწისქვეშა პარკინგებზე. სადაც იქნება შესაძლებელი, კვლევის შედეგად მიღებული ანალიზის საფუძველზე, მიწისზედა პარკინგებიც უნდა მოვაწყოთ, რათა ეს სერიოზული პრობლემა, რომელიც მოსახლეობას აწუხებს, მოგვარდეს“, – განაცხადა თბილისის მერმა.



### თბილისის მერი ნაძალადევის რაიონში სპორტული კომპლექსის მშენებლობის პროცესს გაეცნო

დედაქალაქის მერი კახა კალაძე ნაძალადევის რაიონში სპორტული კომპლექსის მშენებლობის პროცესს გაეცნო. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის მაისში დასრულდება.

კახა კალაძის განცხადებით, მსგავსი კომპლექსის მშენებლობა ქალაქში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

„აღნიშნული სპორტული კომპლექსის მშენებლობა მაისში უნდა დასრულდეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აქ მცხოვრებ მოქალაქეებს ერთ-ერთი საუკეთესო გამაჯანსაღებელი ცენტრი ექნებათ, რომელიც ყველა ასაკისა და კატეგორიისთვის არის განკუთვნილი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ცალკე მიმართულება იქნება. ჩემს საარჩევნო პროგრამაში ერთ-ერთი მთავარი მიმართულება თბილისის ყველა რაიონში სპორტული კომპლექსების მშენებლობა იყო და ამას აუცილებლად განვახორციელებთ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

კომპლექსი 1500 ბენეფიციარის მომსახურებაზეა გათვლილი, სადაც კრივის არენა, ტანვარჯიშის დარბაზი, საჭიდაო მოედანი, ასევე, დიდი და საშუალო ზომის დახურული საცურაო აუზები განთავსდება. კომპლექსს ექნება კაფე და ღია ტერასა. პროექტს თბილისის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ახორციელებს.

სარემონტო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ელიტა ბურჯი“ ასრულებს. პროექტის საერთო ღირებულება 3 727 642 ლარს შეადგენს.

თბილისის მერთან ერთად, სპორტული კომპლექსის მშენებლობის ადგილზე მერის მოადგილეები სოფიო ხუნწარია და ირაკლი ბენდელიანი, ასევე, ნაძალადევის რაიონის გამგებელი ირაკლი ხელაძე და მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა იმყოფებოდნენ.

### კახა კალაძე მარაბდის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო

თბილისის მერი კახა კალაძე ვაკის რაიონში, მარაბდის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო. ქუჩაზე ამჟამად, გზის საფუძველი ეწყობა, რის შემდეგაც, ასფალტის ახალი საფარი დაიგება.

„ვაკის რაიონში საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. ამ კონკრეტულ პროექტს ვაკის რაიონის გამგეობა ახორციელებს. ჩვენ გაზაფხულიდან, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას მთელი ქალაქის მასშტაბით ვგეგმავთ, რაც რა თქმა უნდა, მომდევნო წლების განმავლობაშიც გაგრძელდება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

გზის რეაბილიტაციის სამუშაოებს მარაბდის ქუჩაზე თბილისის მერთან ერთად, ვაკის რაიონის გამგებელი ნოდარ ტურძელაძე გაეცნო.

„მარაბდის ქუჩაზე დაახლოებით, 2000 კვადრატულ მეტრამდე ასფალტის საფარი იცვლება. სამუშაოები დაახლოებით, ათ დღეში უნდა დასრულდეს. შესაბამისად, აქ მცხოვრებ მოსახლეობას ბევრად უფრო გაუმჯობესებული გარემო ექნება, ვიდრე მანამდე ჰქონდა“, – განაცხადა ნოდარ ტურძელაძემ.

მარაბდის ქუჩაზე სამუშაოების შედეგად, 1700 კვ.მ ფართობის გზა შეკეთდება. პროექტს ვაკის რაიონის გამგეობის დაკვეთით, შპს „როუდ სოლუშენი“ ახორციელებს და მისი ღირებულება 115 000 ლარია.

მიმდინარე წელს, ვაკის რაიონში დაახლოებით, 100 000-მდე კვ.მ ფართობის გზის რეაბილიტაციაა დაგეგმილი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახური



# ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲘ – ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ



ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ



## ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ – ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ

გურჯაანის მუნიციპალიტეტში 2017 წელს ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით კულტურული მემკვიდრეობის ხუთ ძეგლს ჩაუტარდა რეაბლიტაცია:

სრულად აღდგა და პირვანდელი სახე დაუბრუნდა სოფელ ვაზისუბნის წმ. გიორგის სახელობის სამკარიან ბაზილიკას (VI სს.), რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, გამგეობის შუამდგომლობით, ორი წლის წინ მიენიჭა. სრულად აღდგენილია აგრეთვე კარდენახის წმ. ნიკოლოზის სახელობის (VI სს.) და სოფელ კალაურის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიები (IX სს.).

ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით შარშან შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სოფელ კარდენახის საბა წმინდის ეკლესიას (XIII–XV სს.) და ვაზისუბნის სანაგირის მონასტერს (X–XI სს).

გურჯაანის მუნიციპალიტეტში „ქართუს“ დაფინანსებით ბოლო წლების განმავლობაში აღდგენილია კულტურული მემკვიდრეობის ორმოცდაათამდე ძეგლი. მიმდინარე წელს კიდევ რამდენიმე ძეგლის რეაბილიტაცია იგეგმება, მათ შორისაა სოფელ ვეჯინის წმ. გიორგის ბაზილიკა (VI–VII სს,). სამუშაოები გაზაფხულზე დაიწყება.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ

გურჯაანის საბიბლიოთეკო გაერთიანებამ პროექტ „მაკულატურის“ ფარგლებში ჩაბარებული წიგნებიდან მიღებული ქულებით (თანხით) 16 დასახელების მხატვრულ-შემეცნებითი და დარგობრივი ლიტერატურა შეიძინა. წიგნების ნაწილი ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დარჩება, ნაწილი კი სოფლებში განაწილდება. საბიბლიოთეკო გაერთიანება წიგნად ფონდს პერიოდულად ავსებს. წიგნების შეძენას საკუთარი ბიუჯეტიდან მიმდინარე წელსაც გეგმავს. შესაძენი ლიტერატურის ნუსხა მკითხველთა მოთხოვნებისა და ინტერესების შესაბამისად ივსება.

## ᲩᲣᲛᲚᲐᲧᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲘᲚᲤᲐᲤᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუმლაყში შპს „ქართული ხილის კომპანია“ ხილის გადამმუშავებელ საწარმოს აშენებს. კომპანია სეზონზე დაახლოებით 5 ათასი ტონა ხილის გადამუშავებას და მის უცხოურ ბაზარზე გატანას გეგმავს.

„ქართული ხილის კომპანიას“ სამაცივრე მეურნეობა სოფელ ჩუმლაყში აქვს. როგორც კომპანიის დირექტორი გიორგი ახალაძე ამბობს, ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციია 2013 წლიდან გააქვთ, თუმცა დღემდე ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტზე მუშაობდნენ. გიორგი ახალაძის თქმით, საწარმოს მშენებლობაში 5 მილიონი ლარი ინვესტიციაა ჩადებული.

„უმაღლესი ხარისხის პროდუქცია კენკროვანი ხილისგან დამზადდება. მოლაპარაკებებს უკვე ვაწარმოებთ უცხოელ პარტნიორებთან. გვინდა დავამზადოთ ისეთი ხარისხის პროდუქტი, რომელიც ევროპის ბაზრისთვისაც მისაღები იქნება. პროდუქცია ძირითადად საექსპორტო ბაზრებზე



ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘ

გაიყიდება, მცირე რაოდენობით პროდუქტს ქართულ ბაზარსაც მივაწვდით“, – ამბობს გიორგი ახალაძე.

მისივე ინფორმაციით, ხილს ადგილობრივებისგან ჩაიბარებენ, პროდუქცია ეკოლოგიურად სუფთა და ხარისხიანი იქნება. საწარმო აღჭურვილია ევროპული სტანდარტების შესაბამისი ტექნიკით. გარდა ამისა, საწარმო გეგმავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოიწვიოს სპეციალისტები, რომლებიც საწარმოს ტექნოლოგებს სპეციალურ სასწავლო კურსებს ჩაუტარებენ. ამ პროექტის განსახორციელებლად „ქართული ხილის კომპანია“ სოფელში დაახლოებით მილიონ 300 ათასი დოლარის ინვესტიციას ჩადებს.

## ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობები და სიძველეები ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მარშრუტი გახდება ტურისტების მოსაზიდად – ამის შესახებ შეთანხმდნენ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ლევან ჟვანია და ტუროპერატორ „ინტერკონტინენტალის“ დამფუძნებელი ნინო მახვილაძე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა ტურიზმის განვითარებასთან ერთად ყურადღება სოფლის მეურნეობასა და მეღვინეობაზე გაამახვილა. ასევე ისაუბრა ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი და მნიშვნელოვანი პირობების შექმნაზე.

შეხვედრის მონაწილეები ბოლნისის სიონს, წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა სახელობის მამათა მონასტერს, ძველ გერმანულ უბანსა და საოჯახო ღვინის მარნებს სტუმრობდნენ.

## ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲚᲝᲢᲔ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲨᲘ

„მერები ეკონიმიკური ზრდისთვის“ – ევროკავშირის ამ ორგანიზაციამ დააფინანსა საპილოტე პროექტი სახელწოდებით „ბოლნისში ბიზნესსაქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბება“, რომლის საერთო ბიუჯეტი 380 ათასი ევროა. აქედან ბოლნისის მუნიციპალიტეტის კონტრიბუცია შეადგენს 60 ათას ევროს. პროექტის მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარება და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების სტიმულირება, მყარ ინფრასტრუქტურასა და მეწარმეთა ბიზნესადმინისტრირების უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში თანხების ინვესტირებით. პროექტი 2018–2021 წლებში განხორციელდება. სამი წლის განმავლობაში დაგეგმილია ბოლნისის მუნიციპალიტეტში აგროცენტრის მოწყობა, ღვინის ჩამოსასხმელი ხაზის, ყველისა და ბოსტნეულის შესაფუთი დანადგარების შეძენა.

მსგავსი პროგრამის განხორციელებას ევროკავშირი თბილისსა და გორის მუნიციპალიტეტშიც გეგმავს.

„მოხარული ვარ, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილმა პროექტმა დაფინანსება მოიპოვა. ნებისმიერი გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და გააუმჯობესებს ბიზნესგარემოს, ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის უმნიშვნელოვანესია. ძალისხმევას არ დავიშურებთ მისი წარმატებით განხორციელებისთვის“, – განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘ ᲡᲔᲜᲐᲙᲨᲘ

სენაკში ორსართულიანი, თანამედროვე სტანდარტების, შშმ პირებზე ადაპტირებული ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა. პროექტის ფარგლებში, მოეწყო სასადილო და საძინებელი ოთახები, სამზარეულო და სველი წერტილები, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობისა და სავენტილაციო სისტემები. ახალი საბავშვო ბაღი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ, სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ბერაიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა და რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსმა ნუგზარ გაბელიამ დაათვალიერეს.

საბავშვო ბაღი აღჭურვილია ახალი ინვენტარით და 90 აღსაზრდელზეა გათვლილი. პროექტის ღირებულება 280 000 ლარს შეადგენს. სამუშაოებზე დასაქმებული იყო 20 ადგილობრივი. პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით განხორციელდა. 2013 წლიდან დღემდე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, აშენდა სამი ახალი საბავშვო ბაღი, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა 26-ს.




ᲡᲔᲜᲐᲙᲘ

## ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲨᲘ

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერ ირაკლი კუჭავასთან, საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ მამალაძესთან და ჩოხატაურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროს მანანა მინდაძესთან ერთად ადგილობრივ ფერმერებს შეხვდა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამები გააცნო.

გიორგი მიშელაძემ ისაუბრა მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის, რძის მწარმოებელი და მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო 1 მარტამდე ამ პროგრამაში რეგისტრაციას აცხადებს ვებგვერდზე: www.acda.gov.ge

## ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კუჭავა, ჩოხატაურის რესურსცენტრის ხელმძღვანელ შორენა სიხარულიძესთან და მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად, მუნიციპალიტეტის სკოლების დირექტორებს შეხვდა. განიხილეს საჯარო სკოლების შენობების ინფრასტრუქტურასა და კეთილმოწყობასთან დაკავშირებული საკითხები.

## ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ ᲝᲞᲢᲘᲙᲣᲠ-ᲑᲝᲭᲙᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲐᲑᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲘᲥᲡᲔᲚᲔᲑᲐ

კომპანია შპს „მაგთიკომი“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით შემოდის. შედეგად მუნიციპალიტეტს მოემსახურება მაღალი ხარისხის ინტერნეტითა და სატელევიზიო სიგნალით.

კომპანიამ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს სამუშაოების დაწყების ნებართვის მისაღებად უკვე მიმართა.



ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ

# უსაფრთხო მსოფლიოსთვის

მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია 1963 წლიდან დაარსდა. იმ პერიოდიდან, როდესაც სამყარო დამანგრეველ ბირთვულ ომს გადაურჩა. მხედველობაში გვაქვს ე.წ. „კარიბის კრიზისი“. მეორე მსოფლიო ომის წამომწყებმა ქვეყანამ, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, საჭიროდ ჩათვალა გაემართა კონფერენცია, სადაც ისაუბრებდნენ მსოფლიოს უსაფრთხოების საკითხებზე და შეეცდებოდნენ, თავიდან აეცილებინათ ქვეყნებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება. თუმცა პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ მიუნხენის კონფერენციებზე მნიშვნელოვანი საკითხები დღემდე ნაკლებად თუ გადაწყვეტილა. მიუხედავად ამისა, ბავარიის მხარეში მსოფლიოდან პოლიტიკოსები მრავლად სტუმრობენ.



წლევანდელ კონფერენციაზე რაიმე სენსაცია არ მომხდარა და არც რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება მიუღიათ. ამის ერთ-ერთ მიზეზად ექსპერტები იმ გარემოებას ასახელებენ, რომ მიუნხენში წამყვანი ქვეყნების პირველი პირები არ ჩასულან. კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატების თანაშემწემ უსაფთხოების საკითხებში მაკმასტერმა მსოფლიოსთვის საფრთხის მატარებელ ქვეყნებად კვლავ ჩრდილოეთ კორეა, ირანი, ჩინეთი და რუსეთი დაასახელა. მისი გამოსვლის შემდეგ ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ გენერალი მაკმასტერი ისე ესაუბრებოდა კონფერენციის მონაწილეებს, როგორც თავის ქვეშევრდომ ჯარისკაცებსო. მეზობელი ქვეყნების აგრესიაში რუსეთი ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმაც დაადანაშაულა.

პოლიტოლოგები და მიმომხილველები ელოდებოდნენ, რომ მიუნხენის კონფერენციის ფარგლებში გაიმართებოდა ე.წ. ნორმანდიის ოთხეულის (შეგახსენებთ — საფრანგეთის, გერმანიის, უკრაინისა და რუსეთის მაღალჩინოსანთა მონაწილეობით) შეხვედრა. დიალოგი არ გაიმართა, რისი მიზეზებით, ჯერ უცნობია. თუმცა სამიტის პირველივე დღეს დახურულ კარს მიღმა რუსეთისა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრებმა — ლავროვმა და კლიმკინმა გამართეს მოლაპარაკება. შეხვედრა საათზე ოდნავ მეტ ხანს გაგრძელდა, მაგრამ საუბრის დასრულების შემდეგ კომენტარი მხარეებს არ გაუკეთებიათ. ექსპერტების ვარაუდით, შეხვედრა სრულიად უშედეგოდ დასრულდა. ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასი აღმოჩნდა უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს გამოსვლა, რომელმაც რუსეთის დროშის აკრძალვის იდეა წამოაყენა. ნორმანდიის ფორმატით შეხვედრაზე უარი საფრანგეთის და გერმანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რაც, პოლიტოლოგების აზრით, უკრაინისთვის ერთგვარ გაფრთხილებად უნდა მივიჩნიოთ.

დასავლეთის, კერძოდ, ნატოს წევრ ქვეყნებში ერთსულოვნება რომ არის, ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა მიუნხენში. თურქეთის მხარემ კვლავ დაადანაშაულა აშშ-ი ქურთი მებრძოლების შეიარაღებაში. თურქების განცხადებით, ქურთებისთვის განკუთვნილი იარაღი რაღაც გზებით ტერორისტულ დაჯგუფებებს უვარდებათ ხელში, რაც რეგიონში ვითარებას კიდევ უფრო ძაბავს. სირიის საკითხის კვლავ აქტუალურობაზე გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სტეფან დე მისტურაც საუბრობს. მისი განცხადებით, აუცილებელია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და ტერორიზმის საბოლოოდ დამარცხება, რათა საომარი ვითარება რეგიონის სხვა ქვეყნებში არ გავრცელდეს.

საინტერესო გახლდათ ასევე მიუნხენში აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის მიერ გაკეთებული განცხადება: „...მართალია, ბევრ საკითხში რუსეთისგან განსხვავებული ხედვა გვაქვს, მაგრამ ამ გარემოებამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებაში“. ჯონ კერი შეცდომად მიიჩნევს დონალდ ტრამპის განცხადებას ირანთან ბირთვული თანამშრომლობის პროგრამიდან გამოსვლის თაობაზე. მისი აზრით, ასეთ შემთხვევაში ფართომასშტაბიანი ომია მოსალოდნელი, რაც, შესაძლოა, დამღუპველი აღმოჩნდეს სამყაროსთვის.

უცნაურია, მაგრამ აშშ-ში კვლავ გრძელდება რუსული კვალის ძიება საპრეზიდენტო არჩევნებში მათი ჩარევის შესახებ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დონალდ ტრამპის მოწინააღმდეგებს პრეზიდენტის დისკრედიტაცია სურთ. გასულ კვირას აშშ-ის იუსტიციის მინისტრის მოადგილემ (რომელიც კურირებს სპეცპროკურორ მიულერის საგამოძიებო ჯგუფს არჩევნებში რუსული კვალის გამოვლენისთვის) განაცხადა, რომ იციან 13 რუსი პირის ვინაობა, რომლებმაც გავლენა იქონიეს არჩევნებზე. გამოძიების ინფორმაციით, ეს პირები ორივე კანდიდატის შტაბში მოქმედებდნენ. მათივე მოწყობილი ყოფილა დონალდ ტრამპის მომხრე და მისი საწინააღმდეგო მიტინგები (?!). ამის შესახებ მიუნხენში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვსაც დაუსვეს კითხვა, რაზეც მან უპასუხა: „...ვიდრე ფაქტებს არ ვნახავთ, ყოველივე ცარიელი ლაყბობაა“.



გულგრილი არ დარჩა თავად დონალდ ტრამპი. მისი განცხადებით, რუსეთში ანტიამერიკული რიტორიკა ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო, როდესაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა და როგორ შეიძლებოდა ჰაკერებს სცოდნოდათ. დონალდ ტრამპმა ამერიკელ ხალხს, განსაკუთრებით მოწინააღმდეგეებს, გონიერებისკენ მოუწოდა „...რათა რუსეთის დასაცინი არ გახდეს ჩვენი ქვეყანა“. ძნელი სათქმელია, შეისმენენ თუ არა ტრამპის მოწოდებას, მაგრამ აბსურდულ ბრალდებებზე ექსპერტები თითქმის აღარ რეაგირებენ. რაც შეეხება სხვა ქვეყნების არჩევნებში ჩარევას, გასულ კვირას „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომლის ინტერვიუ. რესპონდენტის განცხადებით, 60 წელია, ცსს ერევა უცხო ქვეყნების არჩევნებში და გავლენასაც ახდენსო.

პოლიტოლოგების გარდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკით დასავლური პრესაც უკმაყოფილოა. ინგლისელი მიმომხილველები დიდ შეცდომად მიიჩნევენ ტრამპის გადაწყვეტილებას, იერუსალიმში გადაიტანოს აშშ-ის საელჩო. ამის გარდა, ჩვენი დასავლელი კოლეგების ცნობით, ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის გავლენა რუსეთისამ ჩაანაცვლაო.

საინტერესოა, რომ პალესტინის ლიდერი მაჰმუდ აბასი რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს ესტუმრა. როგორც იუწყებიან, აბასმა რუსეთის მხარეს რეგიონში ვითარების დარეგულირებაში დახმარება სთხოვა. აბასის განცხადებით,. პალესტინელებმა სილის გაწვნად აღიქვეს აშშ-ის საელჩოს იერუსალიმში გადატანის სურვილი და ამიტომაც კვლავ დაიღვარა სისხლი. მიმომხილველების აზრით, აბასის სურვილის მიუხედავად, ვითარების დარეგულირების შანსები მცირეა.



ისრაელელ სამხედრო ექსპერტს იაკობ კედმის მიაჩნია, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკა გაუაზრებელია, „...რომლის ნაყოფსაც ვიმკითო“, — ირონიულად აღნიშნა მან. კედმის განცხადებით, ტრამპი ეძებს მოკავშირეებს ახლო აღმოსავლეთის საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ ჯერ უცნობია, ვინ იქნებიან ისინი. კედმი არ გამორიცხავს, რომ მაჰმუდ აბასს სურდეს ბენიამინ ნეთანიაჰუსთან შეხვედრა, მაგრამ დიალოგი რუსეთის მხარის თანდასწრებით გაიმართებაო.

გასულ კვირას ირანის პრეზიდენტი ჰასან რუჰანი ინდოეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. პრემიერ-მინისტრ მოდისთან ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების შემდეგ რუანმა, აშშ-ის გადაწყვეტილებაზე, შეაჩეროს ბირთვული თანამშრომლობა, განაცხადა: „...ახლა ამ საკითხზე ბევრს არ ვისაუბრებ, მაგრამ გეტყვით: თუ ვინმე დაზარალდება ჩვენთან თანამშრომლობის შეწყვეტით, ეს თავად ამერიკა იქნება და ისინი ინანებენ კიდეც“. ვფიქრობთ, საინტერესო და დასაფიქრებელია რუჰანის პასუხი.

კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა, რომელიც გასული კვირის ერთ-ერთი მოულოდნელობა აღმოჩნდა. ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრის დაგეგმილი ვიზიტი არ შედგა. ამის მიზეზი მისი თანამდებობიდან გადადგომისა 12 წლის წინ ნათქვამი სიცრუის აღიარება გახდა.

სამხრეთ კორეაში კი გრძელდება ზამთრის ოლიმპიური თამაშები, რომელიც კვირას მთავრდება. გავრცელებული ინფორმაციით,



დახურვის ცერემონიალზე სამყარომ, შესაძლოა, სპორტულთან ერთად პოლიტიკური სიურპრიზიც იხილოს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ჩემი შვილის მდგომარეობის დამძიმების გამო მოვითხოვ ფულად კომპენსაციას შევარდნაძეების ოჯახისგან, სანდრა რულოვსისგან, მაკა ჩიჩუასგან!!!



თითქმის მთელმა საქართველომ იცის იმის შესახებ, რომ ჩემი ვაჟი შშმ გახლავთ, რადგან ამ ამბავს დიდი ისტორიები უძღვის წინ და უამრავი ბრძოლა, თქვენთან, მეგობარ ჟურნალისტებთან ერთად ჩემი შვილის ჯანმრთელობის გადასარჩენად. ამ ბოლო ხანებში მეც მიმტყუნა ჯანმრთელობამ, მაგრამ ჩემს თავს ვინ ჩივის, როცა საკუთარი ვაჟი ერთ დროს „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" დამიღუპეს და მისი მდგომარეობა სპეკულირებას დღემდე აგრძელებენ გარკვეული თანამდებობის პირები. ამიტომაც „საერთო გაზეთის" მეშვეობით მოვითხოვ კომპენსაციას ჩემი ვაჟიშვილის ჯანმრთელობის მოსპობისთვის.

ჩემი ოჯახის და შვილის უპირველესი მტრები თავიდანვე იყვნენ და არიან შევარდნაძის ოჯახი და მათი სიძე გია ჯოხთაბერიძე. რა „გულისხმიერებაც" გამოიჩინა ჩემი შვილის მიმართ შევარდნაძის მეუღლემ ნანული ცაგარეიშვილმა, ჟურნალისტებმა კარგად იცით. ამიტომ მკითხველს მოკლედ შევახსენებ — საოპერაციოდ გამამზადებინეს ავადმყოფი ბავშვი და მერე მითხრეს, თანხები არ გვაქვსო. უკიდურესი გაჭირვება და დაძაბულობა გადაგვატანინეს მე, ჩემს ოჯახს და ავადმყოფ ბავშვს. ამ მორალური და ფსიქიკური ზიანისთვის, იმის გამო, რომ ნანული ცაგარეიშვილს ადამიანები, ზოგადად, ფეხებზე ეკიდა, ჩემს ვაჟს დაუმძიმდა მდგომარეობა. ოპერაცია მაშინ რომ გაკეთებულიყო, დღეს ყველაფერი გაცილებით უკეთ იქნებოდა. დიახ, მშობლის „ვალები" შვილმა უნდა გადაიხადოს — მანანა შევარდნაძეს ვთხოვ ფულად კომპენსაციას.

შევარდნაძეების ოჯახი ავრცელებდა ხმებს, თითქოს ჩემს შვილს ჯაბა მურცხვალაძეს მათი სიძე გია ჯოხთაბერიძე დიდძალი თანხებით ეხმარებოდა. მაშინ ვყვიროდი, ვაწყობდი აქციებს — თუ მე რაიმე თანხა მიმიღია ჯოხთაბერიძისგან, თუნდაც ერთი დოკუმენტი წარმომიდგინოს-მეთქი, მაგრამ, რაც ბუნებაში არ არსებობდა, რას წარმოადგენდნენ?! მაშინ ზეობის ხანა ედგათ და მათი ტყუილიც კი სიმართლედ საღდებოდა.

იმ პერიოდში მაგთის მფლობელი გახლდათ ჯოხთაბერიძე და კომპანიამ ჩემი შვილის დასახმარებლად 1-ლარიანი ზარები დააწესა. კარგად მახსოვს 200344 იყო ჯაბას ნომერი. მაშინ ამ ზარებით 1100 ლარი მოგროვდა, მაგრამ „მაგთის" ხელმძღვანელობამ განგვიცხადა, შემთხვევით სხვისი ზარები მიგეწერათ და თანხას ვერ გადმოგცემთო.

შევარდნაძეებისგან და ჯოხთაბერიძისგან საკომპენსაციოდ მოვითხოვ 1 მლნ ლარს. წინააღმდეგ შემთხვევაში, „საერთო გაზეთის" გამოსვლის დღიდან, ჯოხთაბერიძის მიერ რუსთაველის გამზირზე ახლადგახსნილი სახვითი ხელოვნების მუზეუმის წინ მე, გოგიტა მურცხვალაძე, შშმ პირი, ინსულტგადატანილი, დიაბეტიკი, ვიწყებ საპროტესტო აქციას მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე.

არანაკლები ბოროტება აქვს ჩადენილი ჩემი ოჯახის წინააღმდეგ სააკაშვილის მეუღლეს სანდრა რულოვსს.

მაშინ, როცა მე შევარდნაძეების წინააღმდეგ აქტიურად ვიბრძოდი, სანდრა რულოვსი შემპირდა, თუკი არჩევნებში მიშამ გაიმარჯვა, შენს შვილს უცხოეთში გავაგზავნით სამკურნალოდო. სანდრა რულოვსმა, რა თქმა უნდა, მომატყუა. სააკაშვილმა გაიმარჯვა, მაგრამ მას ერთი წუთითაც არ გახსენებია ჩემი ინვალიდი შვილი და ჩვენი ოჯახის გასაჭირი. რადგან არც მორალი და არც ზნეობა არ არსებობს ასეთი ტიპის ადამიანებში. ამიტომ პირადად მე აღვასრულებ სამართალს! ვიცი, სადაც ვარჯიშობს დილაობით, დავხვდები ერთ დღეს და ხალხის წინაშე ვეტყვი იმას, რაც ეკუთვნის. მე მისგანაც ვითხოვ საკომპენსაციო თანხას, რადგან მისი დაპირების იმედი მქონდა და შვილის სამკურნალო თანხები აღარ მოვიძიე. სანდრა რულოვსი წინასაარჩევნოდ ჩემი შვილის ფოტოებს აფრიალებდა — ხედავთ, შევარდნაძეები არ ეხმარებიან ავადმყოფ ბავშვს. ჩვენ მას მივხედავთ, საზღვარგარეთ გავაგზავნითო. სანდრა რულოვსი ჩემი მდგომარეობით სპეკულირებდა. მე მივითხოვ მისგან ასევე ფულად კომპენსაციას მორალური ზიანისთვის.

გარკვეული ხნის წინ ე.წ. პირველ ლედის მაკა ჩიჩუასაც მივმართე, გაეწია პატრონაჟი ჩვენი ფონდის — საქველმოქმედო ორგანიზაცია „ღვთის შვილებისთვის". ძალიან დიდი მოლოდინი მქონდა, რომ გვერდით დაგვიდგებოდა ქალბატონი ჩიჩუა, მაგრამ თანადგომას ვინ ჩივის, ჩვენს თხოვნაზე პასუხი არც გვაღირსა. რომ იტყვიან, ძაღლადაც კი არ ჩავუგდივართ პირველ ლედის მაშინ, როცა ჭაბუა ამირეჯიბმა, ოტია იოსელიანმა, რუსუდან ფეტვიაშვილმა, ჟანრი ლოლაშვილმა და ათეულობით სხვა სახელგანთქმულმა ადამიანმა წერილობით გადმომცა თავიანთი დალოცვა და საუკეთესო სურვილები უსურვა ჩემს ჯაბას. თუ ამათ შესტკიოდათ გული ჩემს შვილზე, ვინ ბრძანდებიან ან შევარდნაძეები, ან რულოვსი, ან მაკა ჩიჩუა?

გულგრილობა, რომელმაც ჩემი ვაჟის ჯანმრთელობა უფრო დაამძიმა, დასჯადი უნდა იყოს, რადგან კანონმდებლობა ამას არ ითვალისწინებს და თუ ნებით არ გადმოგვცემენ კომპენსაციას, შშმ პირებთან ერთად უვადო აქციებს გავმართავთ ზემოთჩამოთვლილი ამ არაკაცების წინააღმდეგ.

**გოგიტა მურცხვალაძე**
**ბათუმი**

# „საერთო გაზეთის" იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.:** 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

**- ვცილდები მეუღლეს. ტერიტორიულად რომელ სასამართლოში შევიტანო სარჩელი?**

- საქმე ეხება ოჯახური განსჯადობის დავას, რომელსაც არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლი, რომლის შინაარსსაც, გავცდები რა შეკითხვის ფორმატს, სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად წარმოგიდგენთ მთლიანად:

მუხლი 19. ოჯახური დავების განსჯადობა

1. სარჩელი ქორწინების შეწყვეტის, ქორწინების ბათილად ცნობის, აგრეთვე ქორწინების არსებობისა თუ არარსებობის დადგენის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ სარჩელის შეტანის დროისათვის ასეთი ადგილი არ არსებობს, მაშინ სარჩელი შეიძლება შეტანილ იქნეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მას არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, მაშინ საქმეს განიხილავს სასამართლო მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. თუ მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რაც აძნელებს მის გამოცხადებას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქმე შეიძლება მოსარჩელის თხოვნით გაირჩეს სასამართლოში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. (ამოღებულია).

4. სარჩელი მამობის დადგენის შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

5. სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

* * *

**- როგორ მოხდება პირის უგზო-უკვლოდ აღიარება სამართლებრივად?**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლი არეგულირებს თქვენთვის საინტერესო საკითხს. სრულყოფილებისათვის წარმოგიდგენთ აღნიშნული მუხლის შინაარსს მთლიანად.

მუხლი 21. პირის აღიარება უგზო – უკვლოდ დაკარგულად

1. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი

შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო – უკვლოდ

დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო – უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები.

2. უგზო – უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი

ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქონების მართვის შესახებ. მეურნეობის სათანადო გაძღოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მას არა აქვს.

* * *

**- მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია. გვითხრეს, რომ შეიძლება მოხდეს საჯარო შეტყობინება. რას ნიშნავს საჯარო შეტყობინება?**

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ – ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

* * *

**- 1-ლი ინსტანციის სასამართლოში მყავდა წარმომადგენელი, რომელიც არ იყო ადვოკატი. სასამართლომ ის არ დაუშვა პროცესზე. რამდენად სამართლიანად მოიქცა სასამართლო?**

– თქვენ არ გიცნობებიათ



ჩვენთვის, თუ რა მოტივაციით არ დაუშვა სასამართლომ პროცესზე თქვენი წარმომადგენელი. ამიტომ კონკრეტულად თქვენს საკითხთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. ზოგადად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელიც არ არის ადვოკატი, თუ მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს არ გააჩნია საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს განჩინებაზე იმ პირის წარმომადგენლად დაშვებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც არ არის ადვოკატი, შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

* * *

**– შეიძლება თუ არა, სასამართლოს ჩარევის გარეშე შეეზღუდოს მშობელს გარკვეული უფლება?**

- ვინაიდან, კანონი ბავშვის ინტერესების დაცვას ანიჭებს ძალიან დიდი მნიშვნელობას, იგი ითვალისწინებს გარკვეულ ზომებს, ე.წ. „ სანქციებს" იმ მშობლების წინააღმდეგ, რომლებიც სათანადოდ არ ზრუნავენ ბავშვის რჩენასა და აღზრდაზე.

თუმცა, გახსოვდეთ: სასამართლოს გარდა, არავის აქვს უფლება, შეზღუდოს მშობლის უფლება! მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოხდეს ერთი ან რამდენიმე უფლების შეზღუდვა.

* * *

**- განქორწინებას ვაპირებ მეუღლესთან. შესაძლებელია თუ არა, ეს მოხდეს სასამართლოს გარეშე?**

– დიახ, ეს შესაძლებელია, თუ არსებობს ორი პირობა: 1/ ორივენი თანახმა უნდა იყოთ განქორწინებაზე და 2./ არ უნდა გქონდეთ ქონებრივი დავა, ყოველ შემთხვევაში, განქორწინების ეტაპზე.

თუ არსებობს ეს ორი აუცილებელი პირობა, შეგიძლიათ მიმართოთ სამოქალაქო რეესტრის ორგანოს თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გადაიხდით სახელმწიფო ბაჟს 45 ლარის ოდენობით და სააგენტო კანონით დადგენილი წესით მოახდენს თქვენს განქორწინებას.

# ამერიკული დოლარის ისტორია

დღეისათვის ყველაზე ძვირფასი ბანკნოტი, რომელსაც ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემა ბეჭდავს, 100-დოლარიანია. მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო. 1945 წლამდე მიმოქცევაში იყო 500, 1000, 10.000 და 100.000-დოლარიანი კუპიურები. 1969 წლიდან ისინი ბრუნვიდან ამოიღეს, რადგან ფართოდ გავრცელდა ელექტრონული გადახდის სისტემა და, ამასთანავე, ამ ბანკნოტების არაკანონიერ საფინანსო ოპერაციებში გამოყენების რისკი დიდი იყო, რადგან მათი დაცვის სისტემა არასრულყოფილი გახლდათ.

სინამდვილეში, ამერიკული დოლარის ისტორია 1786 წლიდან იწყება. მაშინდელი ბანკნოტები დღეს არსებულისგან ვიზუალურად და ნომინალების მიხედვით ძალიან განსხვავდება. ამის მიზეზია ნაწილობრივ ის, რომ ფულის ბეჭდვის უფლება ერთდროულად 12 ბანკს ჰქონდა და მათ შეეძლოთ ბანკნოტების დიზაინის სურვილისამებრ შეცვლა.

როდესაც მსხვილი კუპიურების შესახებ საუბრობენ, გულისხმობენ 1928 და 1934 წლებში გამოშვებულ ბაკნოტებზე. მაშინ იწარმოებოდა როგორც ფედერალური სარეზერვო სისტემის ბანკნოტები, ასევე „ოქროს სერტიფიკატებიც", რომლებიც ბანკებს შორის განხორციელებულ საფინანსო ოპერაციებში გამოიყენებოდა.

დღეისათვის ამ რარიტეტებით შეიძლება მომსახურების საფასურის გადახდა ან რაიმეს შეძენა, ასევე ბანკში მათი გადაცვლაც. ოღონდ არსებობს ერთი „მაგრამ" – გადაცვლა მხოლოდ ბანკნოტის ნომინალური ღირებულებით შეგიძლიათ. შემდეგ კი ბანკი ამ კუპიურას მიმოქცევიდან ამოიღებს და გაანადგურებს. ამ კუპიურების საკოლექციო ღირებულება ნომინალზე ბევრად მაღალია – ზოგიერთ აუქციონზე თითოეული ბანკნოტის ნომინალურ ღირებულებაზე 10–15-ჯერ მეტ თანხას იხდიან. რამდენადმე ზღუდავს ბანკნოტების ფასების ზრდას ის ფაქტი, რომ ამ კუპიურების გატანა აშშ-იდან კანონმდებლობით არის აკრძალული.







## 500-დოლარიანი ბანკნოტები

ეს კუპიურები პირველად ჩრდილოეთ კაროლინაში დაიბეჭდა 1780 წელს. ახლა ადვილად შესაძლებელია 1934 წელს გამოშვებული ამ ნომინალის ბანკნოტების შეძენა, რომელზეც პრეზიდენტ გროვერ კლივლენდის პორტრეტია გამოსახული.

## 1000-დოლარიანი ბანკნოტები

ამ ნომინალის ბანკნოტები დღეისათვის ყველაზე გავრცელებულია და ადვილად შეგიძლიათ 1934 წელს დაბეჭდილი ბანკნოტების შეძენა პრეზიდენტ მაკ-კინლის გამოსახულებით.

ყველაზე ძვირადღირებული 1890 წელს გამოშვებული ბანკნოტია, რომელსაც გენერალ ჯორჯ გორდონ მიდის პორტრეტი ამშვენებს. ასეთი ბანკნოტები სულ ორი ცალია შემორჩენილი. ერთი მათგანი მიმოქცევიდან უკვე ამოღებულია ფედერალური სარეზერვო ბანკის მიერ და აუქციონზე აღარასოდეს გამოჩნდება. 2006 წელს კი ასეთ „ქაღალდში" 2255000 დოლარი გადაიხადეს.

## 100000-დოლარიანი ბანკნოტები

ასიათასიანი კუპიურები ნომინაციის მიხედვით ყველაზე ძვირადღირებული ბანკნოტებია. ისინი იბეჭდებოდა, როგორც „ოქროს სერტიფიკატები" და თანაც მხოლოდ სამი კვირის განმავლობაში – 1934 წლის დეკემბრიდან 1935 იანვრამდე. დიდი დეპრესიის პერიოდში ამ ნომინალის კუპიურების გამოყენება ჩვეულებრივ ამერიკელ მოქალაქეებს არ შეეძლოთ, მაგრამ მათი მიმოქცევა ხორციელდებოდა ამერიკის ხაზინასა და ფედერალურ სარეზერვო ბანკებს შორის, როგორც გადახდის საშუალება.

ამ ნომინალის სულ 42000 ეკზემპლარი დაიბეჭდა. საყოველთაო მიმოქცევაში ეს ბანკნოტები არ ყოფილა, უფრო მეტიც, მისი ფლობა კანონით ისჯება. მას შემდეგ, რაც ამ კუპიურების გამოშვება შეწყდა, მათი დიდი რაოდენობა განადგურდა.

## არსებობდა თუ არა მილიონდოლარიანი ბანკნოტები?

სინამდვილეში, ასეთი ნომინალის კუპიურები არ არსებობდა, მაგრამ ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძალიან ძნელია.

ამერიკული ფულის ისტორიის ჩახლართულობის გამო, რაზეც ზევით ვისაუბრეთ, იმ ამერიკელებსაც კი, ვინც ამ ქვეყანაში დაიბადა, ნათელი წარმოდგენა არა აქვთ იმის შესახებ, ქვეყანაში რა ნომინალის კუპიურები იყო ან არის მიმოქცევაში. ზოგჯერ ამას ანეკდოტური შეფერილობის კრიმინალურ სიტუაციებამდე მიჰყავს ისინი.

მაგალითად, ყალბი ფულისმჭრელებსა და თაღლითებს ბოლო 100 წლის განმავლობაში ბევრჯერ უცდიათ ისეთი ნომინალის ბანკნოტები გამოეყენებინათ, რომლებიც ბუნებაში არ არსებობს. ამგვარად, 2004 წელს ჯორჯიის შტატში ერთმა ქალმა 2 ათასი დოლარის ნავაჭრის ღირებულების გადახდა 1-მილიონიანი ბანკნოტით დააპირა, რომელზეც თავისუფლების ქანდაკება იყო გამოსახული. თითქოსდა ეს იმის გამო ვერ მოხერხდა, რომ სალაროში იმ დროისთვის საკმარისი ნაღდი ფული არ აღმოჩნდა.




## 10000-დოლარიანი ბანკნოტები

დღეისათვის აუქციონებზე, მათ შორის, ელექტრონულ აუქციონებზე, ჯერ კიდევ შეიძლება 1934 წელს გამოშვებული ათიათასდოლარიანი კუპიურის შეძენა, რომელზეც ვინმე ფილანდერ ჩეიზია გამოსახული.

ფილანდერ ჩეიზი თავის დროზე (მე-19 ს-ის შუაწლები) ცნობილი პოლიტიკოსი, სენატორი და ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინის პირველი მდივანი გახლდათ. მაგრამ, შესაძლოა, მისი მთავარი დამსახურება ის გახლავთ, რომ ამერიკული დოლარის კუპიურებმა ყველასთვის ნაცნობი მომწვანო-მოშავო შეფერილობა სწორედ მისი წყალობით შეიძინა.

ბელა გველესიანი
568908122



# რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი"

რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორანს „ივერონი – ხინკლის სახლი". უკვე ორი წელიწადია დარგის ლიდერის წოდებით აჯილდოებენ. მძლავრი კონკურენციის პირობებში და კულინარიის ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას ახერხებს „ივერონი – ხინკლის სახლი" მისი ხელმძღვანელის ქალბატონი ნინო თევდორაშვილის თაოსნობით.

რესტორანი დახვეწილი დიზაინით გაფორმებული ინტერიერით, მომსახურების მაღალი დონით, პროფესიონალი მუსიკოსებით ყოველ დღე დღესასწაულს სთავაზობს სტუმრებს.

მიბრძანდით რესტორან „ივერონი – ხინკლის სახლში". იქ ხელსაყრელ ფასად უგემრიელეს კერძებს მიირთმევთ, შესანიშნავად მოგემსახურებიან და დაუვიწყარ დროსაც გაატარებთ.

**რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი"**

ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის" წინ.





საერთო გაზეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001